საქ. კ. პ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი —
ს. კ. კ. პ. ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

ზინა ჯეჯეშიძე

★

ავლაბრის არალეგალური სტამბა

1903-1906 წწ.

ისტორიული ნარკვევი

ს ა ხ ე ლ ვ ა მ.
1 9 5 4

შესავალი

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა შეიქმნა 1903 წლის დამლევს და არსებობდა 1906 წლის 15 აპრილამდე. სტამბის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ავლაბრის არალეგალური სტამბის მოწყობა დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთში საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას. ამავე დროს ეს იყო მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების მღელვარე ხანა, როცა დიდად გაიზარდა მოთხოვნილება რევოლუციურ ლიტერატურაზე.

ავლაბრის სტამბა არალეგალური ტექნიკისა და კონსპირაციის თვალსაჩინო ნიმუშს და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური არალეგალური ლიტერატურის გამოცემათა მძლავრ ბაზას წარმოადგენდა. იგი განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში. სტამბაში დაბეჭდილ გაზეთებსა, ბროშურებსა, პროკლამაციებსა და ფურცლებში ასახულია რევოლუციური მარქსისტული პარტიის ძირითადი საბრძოლო ლოზუნგები; ეს ლიტერატურა პარტიის ლენინური პროგრამის პოპულარიზაციას ეწეოდა და პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს აშუქებდა.

ორ წელზე მეტ ხანს არსებობდა ავლაბრის არალეგალური სტამბა. ამ დროის განმავლობაში იქ რუსულ, ქართულ,

სომხურ ენებზე რამდენიმე ასეულ ათას ეგზემპლარად დაბეჭ-
დილი ლიტერატურა ფართოდ ვრცელდებოდა როგორც კავკა-
სიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ხელს უწყობდა რევო-
ლუციური ბრძოლის გაძლიერებას. ამ სტამბაში მაშინდელ
დროისათვის დიდი ტირაჟით დაბეჭდილი ლენინისა და
სტალინის ნაშრომები მარქსისტულ-ლენინური იდეების პრო-
პაგანდის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა. ავლაბრის სტამბაში
დაბეჭდილმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა ამიერ
კავკასიაში ლენინური იდეების დანერგვის, ბოლშევიკური ორ-
განიზაციების შექმნისა და განმტკიცების საქმეში. ეს ლიტე
რატურა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვე
თებით ზრდიდა ამიერკავკასიის მშრომელ მასებს, რაზმავდ
მათ მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღ
მდეგ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გასა
ჩაღებლად, მშრომელთა ბედნიერი მომავლისათვის — კომუ
ნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

I

მუშათა კლასის პოლიტიკური მომზადებისა და რევოლუციური მარქსისტული პარტიის მშენებლობის საქმეში არალეგალურ რევოლუციურ პრესას ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი არალეგალურ რევოლუციურ ბეჭდვით სიტყვას თვლიდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის ყველაზე ბასრ და მძლავრ იარაღად.

რევოლუციური მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნასთან ერთად აღმოცენდა. კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» და იმთავითვე საფუძველი ჩაუყარა არალეგალურ რევოლუციურ მარქსისტულ ბეჭდვით სიტყვას. არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა ორგანულადაა დაკავშირებული არალეგალურ ბეჭდვით ტექნიკასთან. ცარიზმის სასტიკი რეჟიმის პირობებში არალეგალური სტამბის მოწყობა შეტად რთული და ძნელი საქმე იყო, რომელიც მოითხოვდა ღრმა კონსპირაციას, მტკიცე დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

მეფის მთავრობამ იცოდა, თუ რა მძლავრ იარაღს წარმოადგენდა რევოლუციონერთა ხელში საიდუმლო სტამბა და არალეგალური ლიტერატურა, ამიტომ ამ საქმეში «შემჩნეულ» პირთ მეფის მთავრობა სასტიკად დევნიდა და მკაცრად სჯიდა. პოლიცია-ჟანდარმერიის აგენტები გაფაციცებით დაეძებდნენ საიდუმლო სტამბებს, მაგრამ მიუხედავად ამ

საშინელი პოლიციური დევნისა, პროფესიონალ რევოლუციონერთა თავდადებული მუშაობის შედეგად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ეწყობოდა არალეგალური სტამბები.

რევოლუციური ლიტერატურის გამოცემის გაფართოება დაკავშირებული იყო რევოლუციური მოძრაობის განვითარებასთან. ცნობილია, რომ XX საუკუნის დამდეგს ეკონომიურ კრიზისს რუსეთში მოჰყვა პროლეტარიატის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება და მუშათა გადასვლა ეკონომიური გაფიცვებიდან პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე. ვ. ი. ლენინი «« ისკრის» რედაქციის განცხადებაში» წერდა:

«...ვრცელდება ადგილობრივი სააგიტაციო ფურცლები, იზრდება მოთხოვნა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე, ისე რომ მას ვეღარ ასდის მიწოდება, ხოლო მთავრობის მხრივ გაძლიერებულ დევნას აღარ ძალუძს ამ მოძრაობის შეჩერება. საპყრობილეები პატიმრებით გაჭედილია, გადასახლების ადგილები გავსებულია, თითქმის ყოველ თვე გვესმის «ჩავარდნები» რუსეთის ყველა კუთხეში, ტრანსპორტების დაჭერა, ლიტერატურისა და სტამბების კონფისკაცია, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო იზრდება, სულ უფრო მეტ რაიონზე ვრცელდება, სულ უფრო ღრმად იჭრება მუშათა კლასში... »[1].

ცარიზმის მარწუხებში შეუძლებელი გახდა რუსეთში პირველი საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის «ისკრის» გამოცემა. ვ. ი. ლენინი მის გამოცემას 1900 წლის დამლევს ახორციელებს საზღვარგარეთ. «ისკრის» გავრცელების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მისმა აგენტებმა, რომელთა ფართო ქსელი შეიქმნა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. რუსეთში «ისკრის» გავრცელების ყველაზე უკეთეს საშუალებად ლენინი თვლიდა საზღვარგარეთიდან «ისკრის» მატრიცების გამოგზავნას და ადგილობრივ სტამბებში სტერეოტიპზე გამრავლებას. ლენინის მითითებით 1901 წლიდან რუსეთის ადგილობრივ არალეგალურ სტამბებში მოეწყო «ისკრის» გადაბეჭდვა-გამრავლება. «ისკრის» აგენტები რუსეთში არა მარტო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 430.

გაზეთის გამავრცელებელნი იყვნენ, ისინი «ისკრის» გარშემო ამჭიდროებდნენ ადგილობრივ კომიტეტებს.

1901 — 1902 წლებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დაარსდა ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები. 1901 წელს ი. სტალინის, ლ. კეცხოველისა და ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიაშიც დაარსდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის, ბაქოს, ბათუმის კომიტეტები. ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ლენინური იდეების ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ და იბრძოდნენ ამიერკავკასიაში რევოლუციურ-მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის შექმნისათვის. ისინი იყენებდნენ რუს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა დიდ გამოცდილებას და აწყობდნენ არალეგალურ სტამბებს.

რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა არალეგალურ სტამბას ამიერკავკასიაში 1900 წელს ჩაეყარა საფუძველი. პირველი არალეგალური სტამბა მოეწყო თბილისში 1900 წ. ზაფხულს, ნაძალადევში, მოწინავე მუშის ს. აზმაიფარაშვილის სახლის სარდაფში, სადაც მხოლოდ ფურცლებსა და პროკლამაციებს ბეჭდავდნენ. კონსპირაციული მოსაზრებით ამ სტამბას რამდენიმეჯერ შეუცვალეს ბინა: 1901 წ. ზაფხულს ის გადაიტანეს დავითის მთის ძირში და წყალსადენის რეზერვუართან გვირაბში მოათავსეს, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ნაძალადევში გადაიტანეს. 1901 — 1902 წლებში არალეგალური სტამბები დაარსდა ბაქოსა და ბათუმში. ბაქოს არალეგალური სტამბა («ნინა») ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით მოეწყო 1901 წლის ზაფხულში. ეს სტამბა 1900 — 1902 წლებში თბილისისა და ბათუმის სტამბებთან შედარებით ტექნიკურად უფრო მაღლა იდგა, — იქ ჰქონდათ აუგსბურგის სისტემის სწრაფმბეჭდავი მანქანა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი ქართული არალეგალური გაზეთი «ბრძოლა», ფურცლები, ბროშურები. აქვე ხდებოდა ლენინური «ისკრის» ცალკეული ნომრების გადაბეჭდვა. ბაქოს არალეგალურმა სტამბამ

თვალსაჩინო როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული იდეების დანერგვისა და გავრცელების საქმეში.

1901 — 1903 წლებში მუშათა ბრძოლა რუსეთში უფრო და უფრო რევოლუციურ ხასიათს ღებულობდა. 1901 წელს საპირველმაისო გაფიცვა პეტერბურგის ობუხოვის სამხედრო ქარხანაში და საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში გადაიქცა სისხლისმღვრელ შეტაკებად მუშებსა და მეფის ჯარს შორის. 1902 წლის მარტში სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო ბათუმის მუშათა დიდი გაფიცვები და დემონსტრაცია, რომლებმაც აამოძრავეს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მასები. 1902 წლის ნოემბერში ჩატარდა დიდი გაფიცვა დონის როსტოვში.

1903 წელს მუშათა გაფიცვებმა კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამ წელს მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები მოეწყო სამხრეთში; მათ მოიცვეს ამიერკავკასია (ბაქო, თბილისი, ბათუმი) და უკრაინის დიდი ქალაქები (ოდესა, კიევი, ეკატერინოსლავი). მუშათა ამ ბრძოლას თითქმის ყველგან სათავეში უდგნენ ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა მოითხოვდა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას, მათ შეთანხმებულ მოქმედებას, მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობას ერთი საერთო ცენტრიდან. ერთ-ერთ ასეთ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას წარმოადგენდა რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელიც გაფორმდა 1903 წლის მარტში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე [1]. იქვე აირჩიეს კავკასიის კავშირის

---

1 ამ ყრილობის მოსაწვევი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა რსდმპ ბაქოსა და თბილისის კომიტეტების ინიციატივით 1903 წლის იანვარში გაზეთ «ბრძოლისა» და სომხურ გაზეთ «პროლეტარიატის» რედაქციებთან დაარსებულმა ბიურომ.

გაზეთი «პროლეტარიატი» სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის ორგანო იყო; გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი 1902 წლის ოქტომბერში. გაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ს. შაუმიანი.

ხელმძღვანელი ორგანო — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ლენინური «ისკრის» ხაზი და სახელმძღვანელოდ მიიღო «ისკრისა» და «ზარიას» მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი. ყრილობაზე მიიღეს დადგენილება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალურ ორგანოს — გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» გამოცემის შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც პარტიის III ყრილობას წარედგინა, ამის შესახებ ნათქვამია:

«კავკასიის კავშირის პირველი ყრილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად უნდა ვაღიაროთ ის, რომ მან დაადგინა იქონიოს მხოლოდ ერთი ორგანო სამ ენაზე, უმთავრესად ერთი და იგივე — როგორც შინაარსით, ისე ტონით; რომ ქართული «ბრძოლა»... № 5-დან და სომხური «პროლეტარიატი» № 2-დან გაერთიანდეს ერთი სახელწოდებით — «პროლეტარიატის ბრძოლა»»[1].

რსდმპ II ყრილობაზე, რომელიც შედგა 1903 წლის ზაფხულს, ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა რეზოლუცია «რაიონული ორგანიზაციების შესახებ», რის საფუძველზეც დამტკიცდა რსდმპ კავკასიის კავშირი, როგორც რაიონული ორგანიზაცია; დამტკიცებულ იქნა აგრეთვე მისი ორგანო გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა».

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა; მას სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან. ლენინის მითითების თანახმად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ფართოდ გაშალა არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გამოცემა. საგამომცემლო საქმის გაფართოება ორგანიზაციის წინაშე აყენებდა მძლავრი არალეგალური სტამბის მოწყობის ამოცანას.

რსდმპ კავკასიის კავშირის პირველ ყრილობაზე სპეციალურად არ განუხილავთ არალეგალური სტამბის საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა ყრილობამ მიანდო რსდმპ კავკასიის კავ-

---

[1] Партия в революции 1905 года. Документы к истории партии в 1905 году. 1934 წ., გვ. 51.

შირის კომიტეტს, რომელმაც დაადგინა თბილისში დიდი არალეგალური სტამბის მოწყობა. ასეთი სტამბის მოწყობა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დაავალა კომიტეტის წევრს მიხო ბოჭორიძეს[1], რომელსაც ამ საქმეში საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა. მაშინ მიხო ბოჭორიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბა ჩუღურეთში.

საგამომცემლო მუშაობის გაფართოება, დიდი არალეგალური სტამბის მოწყობა, საჭიროებდა ფინანსურ საშუალებებს. ამიტომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი იმთავითვე ზრუნავდა პარტიული სახსრების ფონდის შესაქმნელად. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის 1903 წლის მაისის პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამია: «დღეს... საააგიტაციო ლიტერატურამ პირველი ადგილი დაიჭირა; ის, რაც შეუძლებელი ხდება წრეებში, შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიული ფურცლებით, გაზეთებით, წიგნებით. საჭირო შეიქნა თავისუფალი სტამბის მოპოვება, ასოთამწყობთა დაქირავება, ლიტერატურის გადატანა-გადმოტანა და სხვ. ბევრზე კონსპირაციულ მოსაზრებათა

---

[1] ბოჭორიძე მიხეილ (მიხო) ზაქარიას-ძე (1873 — 1912) — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშა-მჭედელი იყო, უფრო გვიან მუშაობდა თბილისშივე ბუხჰალტრად. 1896 წელს იგი თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეში შედის, შემდეგ კი ასეთი წრის ორგანიზატორი გახდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების 1898 წ. დეკემბრისა და 1900 წ. აგვისტოს გაფიცვებში აქტიურად მონაწილეობდა. 1901 — 1903 წლებში მ. ბოჭორიძე იყო რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი. იმავე წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არალეგალურ სტამბებს. მ. ბოჭორიძის ბინა ბოლშევიკების კონსპირაციულ პუნქტს წარმოადგენდა. გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ (1904 — 1906 წწ.) ი. ბ. სტალინი დროებამშვებით ცხოვრობდა მ. ბოჭორიძის ბინაში; იგი იქ წერდა და რედაქციას უკეთებდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დასაბეჭდ მასალებს. მ. ბოჭორიძის ოჯახი რევოლუციონერებისგან შედგებოდა: დედა — ნინო, დედა — ბაბე, და — მარო; [illegible] ერთხელ შეუსრულებიათ პარტიის სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებანი. მ. ბოჭორიძეს პოლიცია-ჟანდარმერია თვალყურს ადევნებდა და დევნიდა, მაგრამ იგი თავისი არაჩვეულებრივი კონსპირაციული უნარითა და მეხერხებით ხშირად თავს აღწევდა მეფის ხელისუფალთა მიერ დაგებულ მახეს.

გამო ჯერჯერობით ლაპარაკიც შეუძლებელი ხდება. ყველა ეს შედარებით დიდძალ ფულს თხოულობს. რომ გაზეთებისა და წიგნების გამოცემა მჭიდრო ნიადაგზე დამდგარიყო და კავკასიის კომიტეტთა მოქმედება შეთანხმებული ყოფილიყო, საჭირო შეიქნა ახალი ორგანიზაციის — კავშირის შექმნა. კავშირის კომიტეტმა რომ შეძლოს თავისი მოვალეობის ასრულება, საჭიროა მატერიალური საშუალება»[1]. ბოლოს, რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი მოუწოდებს ამხანაგებს, რომ კომიტეტის სასარგებლოდ გადადონ «... **ჩვეულებრივი პროცენტის გარდა ერთდროული ერთი დღის სრული ხელფასი და შემდეგში სავსებით და დროზე იხადონ თავისი ხელფასის არსებული პროცენტი**»[2]. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ფინანსური სახსრები უმთავრესად შეგროვდა კომიტეტებისაგან მიღებული ანარიცხებით. ამავე დროს მართავდნენ ფასიან საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სათანადო ფინანსური სახსრების შეგროვების[3] შემდეგ შესდგომია თბილისში დიდი არალეგალური სტამბის მოწყობას.

არალეგალური სტამბისათვის შენობის ასაგებად მ. ბოჭორიძემ შეარჩია მიწის ნაკვეთი თბილისის რაიონის — ავლაბრის ერთ-ერთ განაპირა, ნაკლებად დასახლებულ უბანში[4]. ეს

---

1 მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

2 იქვე.

3 როგორც ეს რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობის (1904 წ. მაისი) ოქმიდან ჩანს, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური სტამბის მოსაწყობად უნდა დახარჯულიყო 1700 მანეთი, დაუხარჯავთ კი 2070 მანეთი.

4 ამ მიღამოს წინათ უწოდებდნენ «ვორონცოვის ფერმას» და ის მიწერილი იყო ქალაქზე. ქალაქის გამგეობამ ის დაპყო წვრილ-წვრილ ნაკვეთებად და იჯარით მისცა ცალკე პირებს. ერთი ასეთი ნაკვეთი ნავოლუღის მიმართულებით, კახეთის ქუჩის გადაღმა, კასპის ქუჩასთან. 500 კვ. საჟენის რაოდენობით 1899 წელს დ. როსტომაშვილმა აიღო იჯარით. ამ ნაკვეთზე მას ხეხილის გაშენება ჰქონდა განზრახული. თვით დ. როსტომაშვილი ცხოვრობდა სურპ-მინასოვის შეს. № 16-ში.

მიწის ნაკვეთი იჯარით ჰქონდა აღებული ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ყოფილ მუშას, მიხო ბოჭორიძის უახლოეს ამხანაგს დავით როსტომაშვილს. მან მიწის ნაკვეთი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს დაუთმო კონსპირაციული სახლის ასაგებად. მ. ბოჭორიძე შეუთანხმდა დ. როსტომაშვილს, რომ სახლის აშენების ნებართვას იგი, დ. როსტომაშვილი, თავის სახელზე ითხოვდა და მშენებლობის დროსაც მუშებს თავდგმურობას გაუწევდა. 1903 წლის 22 სექტემბერს დ. როსტომაშვილმა ქალაქის გამგეობაში შეიტანა სათანადო თხოვნა და წარადგინა სახლის გეგმის პროექტი; იგი მოითხოვდა, რომ მისთვის, როგორც კახეთის ქუჩის გადაღმა მდებარე მე-7 უბნის («ვორონცოვის ფერმის») სახაზინო მიწის მოიჯარისათვის, ნება დაერთოთ აეგო სარდაფის მქონე ერთსართულიანი ქვის სახლი და დაემტკიცებინათ წარდგენილი პროექტი. ეს პროექტი ითვალისწინებდა ერთსართულიანი, 8 ოთახისაგან შემდგარი სახლის აშენებას. 1903 წლის 7 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ დ. როსტომაშვილს სახლის აშენების ნებართვა მისცა და სახლის გეგმის პროექტი დაამტკიცა. მშენებლობის ამ წინასწარი წესების გაფორმება დააჩქარა იმჟამად ქალაქის გამგეობაში საქმისმწარმოებლის თანამდებობაზე მომუშავე არშაკ ზურაბოვმა, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი იყო.

ჯერ კიდევ სახლის მშენებლობის დაწყებამდე, მ. ბოჭორიძემ რევოლუციონერი მუშებისაგან შეარჩია მშენებლები. ესენი იყვნენ: დურგლები — ძმები ალექსანდრე, ნიკო, ვანო ჩოდრიშვილები; კალატოზები — ძმები მირიმან და თედო მაღრაძეები.

სახლის გეგმა, ქალაქის გამგეობის მიერ დამტკიცებული, ფიქციური იყო. მის პარალელურად მიხო ბოჭორიძემ რევოლუციონერ მშენებელ მუშებთან ერთად შეიმუშავა შენობის კონსპირაციული — ნამდვილი გეგმა და საიდუმლო თათბირზე მშენებელთა შორის გაანაწილა ფუნქციები.

ვიდრე მშენებლობას დაიწყებდნენ, ავლაბარში ზემოთდასახელებულ მიწის ნაკვეთს ერთი საჟენის სიმაღლე ფიცრის ღობე შემოავლეს. შემდეგ დაიწყეს ძირითადი სამუშაო —

არალეგალური სტამბისათვის კონსპირაციული ბინის აგება. ძირითად მომუშავეებს, რასაკვირველია, რევოლუციონერი მშენებელი მუშები შეადგენდნენ, ამასთანავე დაქირავებული გარეშე მუშებიც მოიწვიეს.

არალეგალური სტამბის კონსპირაციული ბინისათვის პირველად 10 არშინის სიღრმის ორმო ამოთხარეს დაქირავებულმა გარეშე მუშებმა. ასეთი ღრმა ორმოს ამოთხრა გარეშე პირებში გაკვირვებას იწვევდა, მაგრამ რევოლუციონერი მუშები მათ განუმარტავდნენ, რომ ეს სარდაფი სახლის პატრონს საყინულედ უნდაო. როგორც კი დაამთავრეს სარდაფისათვის მიწის ამოთხრა, ის მუშები გაისტუმრეს და მოიწვიეს მშენებელი მუშები, რომლებმაც აგურით მოაპირკეთეს იატაკი და კედლები. მალე ეს მუშებიც გაისტუმრეს იმ საბაბით, თითქოს ამ მშენებლობის პატრონი გაკოტრდა და მუშაობაც ამით წყდებაო. შემდეგ მშენებლობაზე, როგორც მეტად კონსპირაციულ სამუშაოზე, გარეშე მუშების დაშვება აღარ შეიძლებოდა. მირიმან და თედო მაღრაძეებმა სარდაფს სასწრაფოდ გაუკეთეს აგურის თაღი, რომელსაც ოთხივე მხრივ ზემოდან ჰაერის გასაწმენდი (სასულე) მოუწყვეს, ხოლო თაღს შუა ადგილზე საიდუმლო (სათადარიგო) ხვრელი დაუტოვეს. ამ ხვრელს ზემოდან ფიცრები დააფარეს და შემდეგ მთლიანად სარდაფის თავზე ორი არშინის სიმაღლეზე მიწა დააყარეს. სათადარიგო ხვრელი ისე იყო დაცული, რომ გარეშე პირი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ აქ, გარდა იატაკისა, რაიმე არსებობდა. ეს სათადარიგო ხვრელი გათვალისწინებული იყო სარდაფში დიდი ტვირთის ჩასატანად და იქიდან ამოსატანად; მას იშვიათ შემთხვევაში იყენებდნენ. საიდუმლო სარდაფის მოცულობა აგურით მოპირკეთების შემდეგ ასეთი იყო: სიგრძე — 12,5 არშინი, განი — 6,5 არშინი, ხოლო სიმაღლე — 4,5 არშინი.

ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ საიდუმლო სარდაფის თავზე დაიწყეს საცხოვრებელი ბინის აგება. საიდუმლო სარდაფს თავზე დააშენეს ნახევარსარდაფი სამზარეულოსათვის, მასზე კი დაუშენეს ოროთახიანი აივნიანი სახლი. სახლის სიგრძე 12 არშინი, განი კი 7 არშინი იყო. ოთახები ყრუ

კედლით იყოფოდა. მათ ცალ-ცალკე აივანზე გასასვლელი კარები ჰქონდათ. სიგნალისათვის საიდუმლო სარდაფის ჩრდილოეთ კედელთან მოაწყვეს ელექტრონის ზარი, რომლის მავთული ერთ-ერთ საცხოვრებელ ოთახში გაიყვანეს; ამ ზარის კნოპი ოთახის შპალერქვეშ შეუმჩნეველად იყო გაკეთებული.

განსაკუთრებული კონსპირაციული ოსტატობით შესრულდა საიდუმლო სარდაფის შესასვლელის მოწყობა. დაიქირავეს ქანქაჩი (ჭის მთხრელი), რომელმაც სარდაფის გვერდზე აღმოსავლეთის მხრივ, 3,5 არშინის დაშორებით, ამოთხარა 18 არშინის სიღრმის ჭა, სადაც წყალი არ ამოსულა; ქანქაჩს უთხრეს, თითქოს ეს ჭა კანალიზაციისათვის უნდოდათ და იგი გაისტუმრეს. ჭაში ჩოდრიშვილების მიერ გაკეთებული ხის კიბე ჩაუშვეს, მერე ჭას ზემოდან ბოძები დაალაგეს და თავზე მიწა დააყარეს, რათა ის შეუმჩნეველი ყოფილიყო.

საიდუმლო ჭის მშენებლობის დამთავრების შემდეგ სხვა ქანქაჩი დაიქირავეს, რომელსაც პირველი ჭის პარალელურად უფრო ღრმა 21 არშინის სიღრმისა და დიამეტრით ერთი არშინის სიგანის ნამდვილი ჭა ამოათხრევინეს. შემდგომი სამუშაოები ძმებმა ჩოდრიშვილებმა და მაღრაძეებმა შეასრულეს. მათ ჭებს შორის 6 არშინის სიგრძის გვირაბი გაიყვანეს. ეს გვირაბი წყლის დონიდან ორი არშინით იყო დაშორებული. გარდა ამისა, გათხარეს ჭიდან სარდაფში შესასვლელი გვირაბი, რომლის სიგრძე 3,5 არშინს უდრიდა. მეორე ჭის (ე. ი. ნამდვილი ჭის, სადაც წყალი იდგა) ზემო კიდე აგურით ამოაშენეს და ჭის კედლებზე ორივე მხრიდან დიამეტრის გასწვრივ ფსკერამდე, ერთმანეთისაგან ¾ არშინის დაშორებით, საფეხურები გააკეთეს. ჭის თავზე აღმართეს ფარდულის კედლებზე მიჭედილი ფიცრებისაგან შეკრული კადონი. ამ კადონზე, რომელიც ჭის ზედაპირიდან დაშორებული იყო დაახლოებით ორი არშინით, მოათავსეს რვა გოჯი დიამეტრის მქონე ხის ჭოჭონაკი. ჭას თავზე დაახურეს ხის კვადრატული ჩარჩო, რომელზეც მიჭედილი იყო წვრილი, მაგრამ ხშირი მავთული. ჭაში ჩაუშვეს ვედრო მსხვილი თოკით. კონსპირაციული მოსაზრებით იქ, სადაც ჭა იყო, ფარდული ააშენეს, ვითომდა წყლის სისუფთავისა და სიგრილისათვის.



ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობის კრილი.

საიდუმლო სარდაფში ჩადიოდნენ ჩარხზე მიბმული თოკის საშუალებით და კედლებზე გაკეთებული შეუმჩნეველი საფეხურებით ეშვებოდნენ ჭაში გვირაბამდე, რომლის გავლის შემდეგ დახურულ ჭაში დადგმული კიბით ადიოდნენ სარდაფში. ხოლო ამოსვლისას ვედროს მიბმულ თოკზე ხელის ჩაჭიდებით და ჭის კედლებზე საფეხურების დახმარებით ამოდიოდნენ ზემოთ.

ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობის მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობდა. მშენებლობის დაჩქარება კიდევ იმით იყო გამოწვეული, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბის ბინას (ჩუღურეთში), ნაკლები კონსპირაციულობის გამო, საფრთხე ემუქრებოდა და მოსალოდნელი იყო მისი ჩავარდნა. ავლაბარში სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ჩუღურეთიდან სასწრაფოდ საბეჭდი მანქანა — «ბოსტონკა» მოიტანეს, სათადარიგო ხვრელით სარდაფში ჩაუშვეს და ფურცლებისა და პროკლამაციების ბეჭდვა დაიწყეს. 1903 წლის დამლევს ავლაბრის არალეგალური სტამბა მუშაობას შეუდგა.

მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც დაკავშირებული იყო დიდი არალეგალური სტამბის მშენებლობასთან, რევოლუციონერთა თავდადებული მუშაობის შედეგად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ყოველდღიური დახმარებით, განსაცვიფრებელი კონსპირაციული ოსტატობით სულ მოკლე ხანში განხორციელდა მძლავრი არალეგალური სტამბის მოწყობის გეგმა.

როგორც კი სახლის მშენებლობა დამთავრდა, სახლის ოფიციალურმა პატრონმა დ. როსტომაშვილმა იგი «მიაქირავა» ფიქციურ პირს, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშას, ხერხაშვილს. ნამდვილად კი ხერხაშვილის გვარით იმალებოდნენ ავლაბრის არალეგალური სტამბის მომუშავენი. სახლის ერთ ოთახში ცხოვრობდა «დიასახლისი» — ბაბე ბოჭორიძე, მიხო ბოჭორიძის დეიდა, მეორე ოთახი კი სტამბის მომუშავეთათვის იყო განკუთვნილი; ისინი იქ ცხოვრობდნენ როგორც «დიასახლისის» «მდგმურები» და სახლის დავთარში ჩაწერილი იყვნენ არალეგალური პასპორტებით.

ბაბე ბოჭორიძემ საცხოვრებელი ბინა და ეზო ისე მოაწყო, როგორც ეს შეეფერებოდა ჩვეულებრივ მცხოვრებს. ამიტომ გარეშე პირი ამ სახლზე ვერავითარ ეჭვს ვერ მიიტანდა. «მოვაწყვე პატარა მეურნეობა, — მოგვითხრობს ბაბე ბოჭორიძე, — გავიჩინე ქათმები, რამდენიმე ხე დავრგე. მეც ვცდილობდი ჩვეულებრივი ოჯახის იერი მიმეცა სახლისთვის, რომ ვინმეს ეჭვი არ აეღო»[1].

რასაკვირველია, არალეგალური სტამბის მოწყობა მეტად რთული საქმე იყო, მაგრამ კიდევ უფრო რთული და ძნელი იყო თვით სტამბაში მუშაობა. არალეგალური სტამბის მუშაკებს უნდა დაევიწყებიათ თავიანთი პირადი ცხოვრება, ღრმა ფატაკქვეშეთში კონსპირაციის მტკიცედ დაცვით აეწყოთ და დაებეჭდათ რევოლუციური ლიტერატურა და მიეწოდებინათ იგი მასებისათვის.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში თავდაპირველად სამი კაცი მუშაობდა. სტამბა შრიფტით მარაგდებოდა მოწინავე მუშათა დახმარებით სხვადასხვა ლეგალური სტამბებიდან, უმთავრესად კი «ქართველთა ამხანაგობის» გამომცემლობის სტამბიდან. როცა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში მუშაობა დაიწყო, იქ მხოლოდ 16 ფუთამდე შრიფტი ჰქონდათ — რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. შემდგომ კი შრიფტის რაოდენობამ 80 ფუთს მიაღწია. შრიფტის ფორმა იყო ვენური, ციცერო, კორპუსი და სხვ.

სტამბა განათებული იყო «ბენზინ-ვარვარების» ლამპებით. მუშაობა იწყებოდა დილით და საღამომდე გრძელდებოდა. როცა საჩქარო სამუშაო იყო, მთელი ღამე განუწყვეტლივ მუშაობდნენ. მუშები სტამბიდან ამოდიოდნენ დილით — საუზმისათვის, შუადღეზე — სადილისათვის და საღამოს — დასაძინებლად. სტამბაში მტკიცედ იყო დაცული დისციპლინა და კონსპირაცია. მუშები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, ქალაქში იშვიათად გადიოდნენ, ერიდებოდნენ ნაცნობების შეხვედრასაც კი.

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ~~ინსტიტუტის~~ საქართველოს ფილიალის არქივი.

«დიასახლისი» ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას. მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში იგი საიდუმლო ზარის საშუალებით აფრთხილებდა სტამბაში მომუშავეებს, რათა მუშაობა შეეწყვიტათ და სტამბიდან ზემოთ არ ამოსულიყვნენ. ზარით სიგნალის მიცემის წესი ასეთი იყო: ერთი ზარი ნიშნავდა სახლში უცხო პირის მოსვლას, რის გამოც მუშაობა უნდა შეეწყვიტათ; ამის შემდეგ ორი ზარი აცნობებდა, რომ საშიშროება აღარ არის; სამი ზარი ანიშნებდა, რომ მუშებს შეუძლიათ სადილისათვის ამოვიდნენ; უცებ ორი ზარი კი ნიშნავდა სტამბიდან მუშის გამოძახებას რაიმე საჩქარო დავალების მისაცემად. დიდი სიფრთხილით წარმოებდა ჭიდან სტამბაში ჩასვლა და იქიდან ამოსვლა. კონსპირაციული მოსაზრებით, იმ ფარდულის კარები, სადაც ჭა იყო, მუდამ გამოკეტილი ჰქონდათ. სტამბის მუშაობას ხელმძღვანელობდა მიხო ბოჭორიძე, მაგრამ ისიც, როგორც გამოცდილი კონსპირატორი, სტამბაში ხშირად არ დადიოდა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი დ. პოსტოლოვსკი[1] თავის მოგონებაში მოგვითხრობს: კონსპირაციული მოსაზრებით, სტამბის საქმე ტექნიკურად მინდობილი ჰქონდა მიხო ბოჭორიძეს, კომიტეტის სხვა წევრებს კი აკრძალული გვქონდა არალეგალურ სტამბაში მისვლაო.

1904 წლის დასაწყისიდან მეფის რუსეთში ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მეტად დაძაბული შეიქნა, რაც გამოწვეული იყო რუსეთ-იაპონიის ომით. ომმა მშრომელი ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ამ პერიოდიდან რუსეთსა და ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. ჯერ კიდევ 1903 წლის ბოლოს, როცა ომისათვის სამზადისი მიმდინარეობდა, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ომის საწინააღმდეგოდ

1 პოსტოლოვსკი დიმიტრი სიმონის-ძე («ვადიმ») (1876 — 1948 წწ.) 1903 წლის აპრილში ჩამოდის თბილისში და იმყოფება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი კოოპტირებულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად. დ. პოსტოლოვსკი თანამშრომლობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალურ გამოცემებში, წერდა სტატიებს, ფურცლებს. 1904 წლის 5 იანვარს დ. პოსტოლოვსკი დააპატიმრეს.

იმართებოდა მუშათა, გლეხთა, მოსწავლეთა და ჯარში ახლად გაწვეულთა დემონსტრაციები. მეფის მთავრობამ რევოლუციურ გამოსვლებს რეპრესიებით უპასუხა. 1904 წ. 5 და 13 იანვარს თბილისში დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტივის საგრძნობი ნაწილი. დაპატიმრებულთა შორის იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. მიუხედავად ამ მასობრივი დაპატიმრებისა, ივლაბრის არალეგალური სტამბა ჩავარდნას გადაურჩა. ეს უმთავრესად აიხსნებოდა სტამბაში მომუშავეთა და მის ხელმძღვანელთა არაჩვეულებრივი კონსპირაციულობით. მასობრივი დაპატიმრების დღეებში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა გამოსცეს პროკლამაციები, რითაც ხალხს აუწყებდნენ, რომ რეპრესიები რევოლუციურ მოძრაობას ვერ შეაჩერებსო.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომელიც დაიწერა 5 იანვრის დაპატიმრებათა გამო, ასე მიმართავდა პროლეტარიატს:

«თავისუფლებისათვის მებრძოლნო მეგობრებო, არ შედრკეთ. ჩვენ ისევ ბრძოლის ველზე ვდგევართ, ჩვენი საყვარელი დროშით, მოგროვდით ჩვენთან და ჩვენებურად მხნედ, უშიშრად და გმირულად დავანახოთ მთავრობას მისი საცოდავი მდგომარეობა. 5 იანვრისთანა დღეებს ჩვენ შეჩვეული ვართ, ჩვენ მას გავუძლებთ, მარა ის დღე, რომელსაც ჩვენ ხალხის მტერ მთავრობას ვუმზადებთ, იქნება მისთვის უჩვეულო, ერთადერთი და უკანასკნელი, რომელსაც იგი ვერ გადაიტანს» [1].

1904 წლის 5 და 13 იანვარს დაპატიმრებათა შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 19 იანვრის მოხსენებაში აღნიშნავდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საგრძნობ ზრდას, რაც საიდუმლო კრებების მოწყობით და

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებით გამოიხატებაო [1].

1904 წლის დასაწყისში, ციმბირს გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, სტალინი ბრუნდება თბილისში, სათავეში უდგება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს და მიხა ცხაკაიასთან ერთად ხელმძღვანელობს და წარმართავს კომიტეტის მუშაობას.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, განუხრელად ასრულებდა რა ლენინის დირექტივებს, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების, სხვადასხვა ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ბოლშევიკების მძლავრ იარაღს წარმოადგენდა რევოლუციური მარქსისტული ლიტერატურა.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პარტიული ლიტერატურის გამოცემის საქმეს. კავკასიის კავშირის III ყრილობაზე (1904 წ. მაისი) იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად აყენებს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის ანგარიშს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში (1903 წლის ოქტომბრიდან 1904 წლის მაისამდე) კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბიდან გამოშვებულ იქნა გაზეთ ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» ხუთი ნომერი ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე — სულ 30 ათასი ეგზემპლარი, პროკლამაციები — 149 ათასი ეგზემპლარი, ბროშურები — 6000 ეგზემპლარი.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ თეორიული ორგანოს გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» [2] გამოცემა სხვადასხვა მიზეზით,

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 7, საქმე 554, ფურც. 338 — 341.

[2] გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» პირველი ნომერი, ანუ № 5 — 6 (ქართულად) და № 2 — 3 (სომხურად — «პროლეტარიატი კრივ») გამოვიდა 1903 წლის მაისში. (გაზეთის დაბეჭდვის ადგილი ჯერჯერობით საბოლოოდ დაზუსტებული არ არის. ჩვენი აზრით, იგი დაბეჭდილი უნდა იყოს რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტის ბაქოს არალეგალურ სტამბაში). ამის შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდა. რსდმპ ც. კ-თან არსებული სომხურ და ქართულ ენებზე სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატუ-

და, უმთავრესად, მომზადებული ლიტერატურული ძალების ნაკლებობის გამო, შეჩერებული იყო და რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გაზეთ ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» გამოცემას [1].

რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობაზე გადაწყვიტეს გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» გამოცემის განახლება, აგრეთვე მიიღეს დადგენილება რსდმპ კავკასიის კავშირის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შემდგომი გაფართოების შესახებ. გაზრდილ მოთხოვნილებას ავლაბრის არალეგალურ სტამბაში არსებული «ბოსტონკა» ვეღარ დააკმაყოფილებდა. საჭირო შეიქნა გაუმჯობესებული საბეჭდი მანქანის შეძენა. აგრეთვე სტამბის მომუშავეთა შტატის გადიდება.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის განკარგულებით გიგო ლელაშვილმა [2] 1904 წლის ზაფხულს ბაქოდან თბილისში ავლაბრის არალეგალური სტამბისათვის ჩამოიტანა აუგსბურგის სისტემის სწრაფმბეჭდავი მანქანა (№ 1346, 1878 წ.); ეს მანქანა 1903 წლიდან 1904 წლის ზაფხულამდე მომსახურებას უწევდა რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტისა და შემდეგ ც. კ-ის სტამბას, რომელშიც იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ზოგიერთი გამოცემაც. რადგან რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს მეორე უფრო დიდი მანქანა ჰქონდა,

---

რის საგამომცემლო კომისიამ (საზღვარგარეთ), რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ზოგიერთი წევრის მხარდაჭერით, 1904 წლის გაზაფხულზე განიზრახა «პროლეტარიატის ბრძოლის» საზღვარგარეთ გამოცემა, მაგრამ ეს არ განხორციელებულა.

[1] მ ა რ ქ ს-ე ნ გ ე ლ ს-ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

[2] ლელაშვილი გიორგი (გიგო) ზაქარიას-ძე (1881 — 1943) — თბილისის რკინიგზის დეპოს მუშა. 1900—1903 წლებში მონაწილეობდა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არალეგალური სტამბების მოწყობასა და მუშაობაში. 1903 წ. ივლისში ის გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც გამოიქცა. 1904 წ. დასაწყისს ჩავიდა ბაქოში და მუშაობა დაიწყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბაქოს არალეგალურ სტამბაში. ბეჭდავდა იმ მანქანაზე, რომელიც 1901 წელს ლ. კეცხოველმა შეიძინა. შემდეგ მან ეს მანქანა გადმოიტანა თბილისში.

ხოლო ორი მანქანა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, მცირე ზომის მანქანა 1904 წლის ზაფხულში რსდმპ მენშევიკურმა ცკ-მა კავკასიის კავშირის კომიტეტს მიჰყიდა[1], მასთან ერთად გადასცა შრიფტიც.

ამ დროიდან ავლაბრის არალეგალური სტამბის მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ბეჭდვითი ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად სტამბას შეემატნენ მუშები: გიგო ლელაშვილი, ტიგრან ვახტანგოვი[2] — ასოთამწყობი სომხურ ენაზე. 1904 წლის დამლევიდან ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 5 კაცი მუშაობდა: მბეჭდავი-ტრანსპორტიორი გ. ლელაშვილი და ასოთამწყობები: ჭიჭიკო კალანდაძე[3], ტ. ვახტანგოვი და სხვ.

1904 წლის ზაფხულიდან ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, გაზეთ ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» გარდა, იბეჭდებოდა გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა», ბროშურები, პროკლამაციები, ფურცლები, ბიულეტენები. სტამბა მომსახურებას უწევდა როგორც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს, ისე რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტს. ზოგჯერ იქ ბეჭდავდნენ ბათუმისა და სხვა კომიტეტების ფურცლებსა და პროკლამაციებს.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები ი. სტალინი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ვ. ბობროვსკი[4], ფ. მახარაძე და სხვ. დიდ სარედაქციო დასაავტორო

---

1 იხ. Протоколы третьего с'езда РСДРП. 1937 წ., გვ. 414, 431.

2 ვახტანგოვი ტიგრან იაგორის-ძე (1884—1953) — ავლაბრის არალეგალურ სტამბაში მუშაობა დაიწყო 1904 წლის ბოლოს. 1903 — 1904 წწ. მუშაობდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში.

3 კალანდაძე ერასტი (ჭიჭიკო) ალმასხანის-ძე — მუშაობდა ჩუღურეთის არალეგალურ სტამბაში. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში მუშაობა დაიწყო ამ სტამბის დაარსების დღიდან. 1905 წლის ივნისიდან იმავე წლის ოქტომბრამდე მუშაობდა ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალურ სტამბაში. იგი გარდაიცვალა 1906 წლის ნოემბერს.

4 ბობროვსკი ვლადიმერ სიმონის-ძე (1873 — 1924) — 1904 წლის დასაწყისში ლენინის მიერ პარტიულ სამუშაოებზე გამოგზავნილი იყო თბილისში და ცხოვრობდა არალეგალური პასპორტით ნ. ი. გოლოვინოვის

მუშაობას ეწეოდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ გაზეთების «პროლეტარიატის ბრძოლისა» და ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» გამოცემას, წერდნენ სტატიებს, პროკლამაციებს, ფურცლებს და სხვ.. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის, ბაქოს, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების წევრები. ამ ორგანიზაციებიდან ხშირად იგზავნებოდა აგრეთვე მუშაკორესპონდენტთა წერილები, რომლებიც არალეგალურ გაზეთებში იბეჭდებოდა. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დასაბეჭდი მასალების მომზადება — სტატიების, ფურცლების, ბროშურების დაწერა, თარგმნა და რედაქტირება სხვადასხვა კონსპირაციულ ბინებში [1] წარმოებდა. რედაქტირებულ მასალებს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სტამბაში გზავნიდა მიხო ბოჭორიძის საშუალებით.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინთან, საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან. 1904 წლის შემოდგომაზე ლენინის დავალებით ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა მოაწყო სპეციალური გამომცემლობა; მისი ამოცანა იყო გამოეშვა ისეთი ლიტერატურა, რომელიც მიეძღვნებოდა პარტიის II ყრილობის უმრავლესობის პრინციპების დაცვას.

გვარზე. ორგანიზაციაში ცნობილი იყო «თედორეს» მეტსახელით. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი კოოპტირებულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად და ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას, წერდა პროკლამაციებს, თანამშრომლობდა არალეგალურ გამოცემებშიც. 1904 წლის შემოდგომაზე ვ. ბობროვსკი სამუშაოდ გადავიდა ბაქოში, სადაც აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს კომიტეტის წევრად. იგი დროგამოშვებით ჩამოდიოდა თბილისში და მონაწილეობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობაში.

[1] ასეთი კონსპირაციული ბინები იყო: მიხო ბოჭორიძის ბინა (1904 წლიდან 1905 წლის დასაწყისამდე. მ. ბოჭორიძე ცხოვრობდა რიყის («ბესკოვსკაია») ქუჩის № 4 სახლში, შემდეგ მეთუნეების («გონჩარნაია») ქუჩის № 18 სახლში), ალექსანდრე წულუკიძის ბინა (დიდი მთავრის («ველიკოკნიაჟესკაია») ქუჩის № 61 სახლში, 1904 წლის მეორე ნახევრიდან 1905 წლის დასაწყისამდე), ნინო ალაჯალოვას ბინა (ავჭალის ქ. № 63-65, 1904 წლიდან 1906 წლის აპრილამდე) და სხვ.

ამ გამომცემლობის შექმნას რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მხურვალედ დაუჭირა მხარი. 1904 წლის ნოემბერს რსდმპ კავკასიის კავშირის კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუცია «უმრავლესობის ლიტერატურის შესახებ». ამ რეზოლუციაში «კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდოს პარტიის კომიტეტებს ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის ჯგუფის ლიტერატურა იმ დანარჩენ პარტიულ ლიტერატურასთან ერთად, რომელიც არკვევს პარტიულ უთანხმოებებს» [1].

1904 წლის დეკემბერში გამოვიდა ცნობა ცენტრალური ორგანოს — «ვპერიოდის» გამოცემის შესახებ. ვ. ი. ლენინის მითითებით გაზეთ «ვპერიოდის» დასახმარებლად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან შეიქმნა «ლიტერატურული ჯგუფი», რომელშიც შედიოდნენ გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» რედაქციის წევრები. იმავე დროს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი თხოვს ვ. ი. ლენინს ითანამშრომლოს გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაში». 1904 წლის 20 დეკემბერს ლენინი კავკასიის კავშირის კომიტეტს საპასუხო წერილში შემდეგს წერდა: „ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი «პროლეტარიატის ბრძოლის» შესახებ. ვეცდები გწეროთ და გადავცემ ამხანაგებსაც რედაქციაში» [2].

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა. ამ დროს ავლაბრის არალეგალური სტამბის მუშაობა უფრო ნაყოფიერი გახდა. ხანგრძლივი შეჩერების შემდეგ აქ დაიბეჭდა გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 7 (1904 წლის 1 (14) სექტემბრის თარიღით :— ქართულად 2 000 ეგზ., № 4 — სომხურად 1000 ეგზ.), რომელშიც მოთავსებულია სტალინის სტატია «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?». 1904 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სტამბაში დაიბეჭდა

---

[1] Ленинский сборник, ტ. XV, გვ. 253.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 312.

გაზეთ ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის»[1] სამი ნომერი (№ 12 — 13, 1 (14) ოქტომბერი, № 14, 10 (23) ნოემბერი); თვითეული ნომრის ტირაჟი ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე 6 000 ეგზემპლარი იყო. გარდა ამისა, იქ დაიბეჭდა ბროშურები: «ტერორი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში» (გადმობეჭდილი გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-7 ნომრიდან) — ქართულად 1200 ეგზ., რუსულად — 500 ეგზ.; «ვინ უნდა გაიმარჯვოს?» — ქართულად 4000 ეგზ.; «გლეხთა მოძრაობა გურიაში» — ქართულად 2000 ეგზ., იქვე დაიბეჭდა პროკლამაციები და ფურცლები: «საზოგადოება ალაპარაკდა!» — რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე 4400 ეგზ.; «თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებს» — რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე 4500 ეგზ.; «რეზოლუციები»[2] — რუსულად 120 ეგზ.; «ამხანაგებო!» — რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე 5000 ეგზ.; «ბათუმის კომიტეტის წითელი ჯვრის ანგარიში» — ქართულად 300 ეგზ. და სხვ.

მხოლოდ 27 დღის განმავლობაში, 1904 წლის 20 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის ტირაჟი 30 ათას ეგზემპლარს აღწევდა[3].

სტამბაში დაბეჭდილი გაზეთები, ფურცლები, ბროშურები ნათელ სურათს იძლევა რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანების რევოლუციურ აღმავლობაზე; ისინი აშუქებდნენ ამიერკავკასიისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლის

---

[1] გაზეთი ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცელი» (რუსულად «ლისტოკ «ბორბი პროლეტარიატა»» და სომხურად ««პროლეტარიატი კრვი» თერთიკ» გამოდიოდა 1903 წლის ნოემბრიდან 1904 წლის ნოემბრამდე; სულ გამოვიდა 12 ნომერი. გაზეთ ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» მეტი ნაწილი უჭირავს ქრონიკას და კორესპონდენციებს ამიერკავკასიისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ამბებზე. თეორიული საკითხები უმთავრესად მოწინავე წერილებში შუქდებოდა.

[2] ეს არის რსდმპ კავკასიის კავშირის 1904 წლის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციის პირველი 4 პუნქტი, რაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა ფურცლის სახით.

[3] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

მნიშვნელოვან ფაქტებს და ამავე დროს ამხილებდნენ მეფის მთავრობის მტაცებლურ პოლიტიკას. ამ ლიტერატურის საშუალებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღა რუსეთ-იაპონიის ომში მეფის მთავრობის დამარცხების ლენინური ხაზის გასატარებლად. ბოლშევიკები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას და მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს იარაღი მიემართათ ლპობის გზაზე დამდგარი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ გაზეთებსა, ბროშურებსა და პროკლამაციებში მხილებულია თვალთმაქცობა ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელიც მეფის მთავრობის მცირე დათმობის შემდეგ მოითხოვდა მასთან (ცარიზმთან) მორიგებას, გაშუქებულია კარს მომდგარი რევოლუციის მნიშვნელობა და პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური იდეა.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურით რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამის პოპულარიზაციას ეწეოდა. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-7 ნომერში მოთავსებული სტატიები: «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?», «ტერორი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში» მიძღვნილია პარტიის პროგრამის ლენინური პრინციპების დაცვისადმი.

სტატიაში «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?» სტალინი ასაბუთებს და განმარტავს რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიას და პროგრამას ნაციონალურ საკითხზე. ამ სტატიაში სტალინი გამოდის როგორც ნაციონალური საკითხის თეორეტიკოსი, რომელიც ოსტატურად დაუფლებულია მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს. იგი სასტიკად აკრიტიკებს მენშევიკებს, ფედერალისტებს და ამიერკავკასიაში არსებულ სხვადასხვა ნაციონალისტურ ჯგუფებს. სტალინი ასაბუთებს მუშათა კლასის ერთიანი, ცენტრალიზებული პარტიის შექმნის აუცილებლობას. «პროლეტარიატის გამარჯვებისთვის..., — წერდა სტალინი, — საჭიროა **ყველა** მუშის შეერთება **განურჩევლად ეროვნებისა»** [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 35.

სტატიაში «ტერორი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში» გაკრიტიკებულია ნაროდნოვოლცები და ესერები, რომლებსაც ინდივიდუალური ტერორი მიაჩნდათ ბრძოლის მთავარ საშუალებად. სტატიის ავტორი აშუქებს რსდმ პარტიის პროგრამას და აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია გმობს ინდივიდუალურ ტერორს და მხოლოდ იმგვარ აქტს თვლის ნამდვილ რევოლუციურ აქტად, რომელშიაც მთავარ მოქმედ ძალად მასები გამოდიანო. იგი განუმარტავს მშრომელებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ შეკავშირებასა და ორგანიზებულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობად.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის საგრძნობი ზრდა 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მეფის ოხრანკის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. 1904 წლის 18 დეკემბერს ოხრანკის თბილისის განყოფილების უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს უგზავნის მოხსენებას, რომლითაც აცნობებს 1904 წლის სექტემბრიდან რევოლუციური მოძრაობის საგრძნობ ზრდას, ჩამოთვლის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტივს და თან დასძენს: «ამავე პერიოდში რამდენადმე გამოცოცხლდა მუშაობა დანაშაულებრივი ლიტერატურის გამოსაცემად და გასავრცელებლად»[1]; აქვე მოჰყავს სია არალეგალური ლიტერატურისა, რომელიც იმ პერიოდში თბილისში გამოიცა და გავრცელდა. ამ ლიტერატურის უმთავრესი ნაწილი ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იყო დაბეჭდილი.

ჟანდარმერიისა და პოლიციის სხვა მოხსენებებში ნათქვამია, რომ 1904 წლის 19 და 20 ნოემბერს მუშებში ფართოდ ვრცელდებოდა გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» № 7, პროკლამაცია «საზოგადოება ალაპარაკდა», ბროშურები: «ტერორი სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში», «ვინ უნდა გაიმარჯვოს?» და «გლეხთა მოძრაობა გურიაში». 1904 წლის 20

---

1 მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

დეკემბერს თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტებს შორის ფართოდ ვრცელდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია «თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებს» და სხვა პროკლამაციები. როგორც ჟანდარმერიის დოკუმენტებიდან ჩანს, ამ დემონსტრაციის დროს ჟანდარმებს აუკრეფიათ 944 ეგზ. პროკლამაცია; აქედან, რუსული — 308 ეგზ., ქართული — 303 ეგზ. და სომხური 333 ეგზ[1].

როცა ვიხილავთ ავლაბრის არალეგალური სტამბის მუშაობის მსვლელობას, ბუნებრივად ისმება დაბეჭდილი ლიტერატურის სტამბიდან გადაზიდვისა და მისი გავრცელების საკითხი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს კარგად ჰქონდა მოწყობილი ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის ტრანსპორტირება-გავრცელების საქმე; მას გამოყოფილი ჰყავდა ტრანსპორტიორთა და გამავრცელებელთა კადრები. ესენი იყვნენ: გიგო ლელაშვილი, კამო (ს. ტერ-პეტროსიანი), ელისე ლომინაძე, მოსე კვარაცხელია, მარია სუვოროვა-ფეოდოროვა, არმენაკ უმბრიევი, გიორგი თარხანოვი, გიორგი ჩიქოვანი და სხვ.

ავლაბრის სტამბას როგორც დაბეჭდილი ლიტერატურის გადასაზიდად, ისე სტამბისათვის საჭირო მასალების მისატანად მოეპოვებოდა საკუთარი ურიკა და ცხენი. დაბეჭდილ ლიტერატურას ჩააწყობდნენ ხილის ყუთებში, დაალაგებდნენ ურიკაზე და სტამბის ტრანსპორტიორს გ. ლელაშვილს იგი მიჰქონდა კონსპირაციულ პუნქტებში: კახეთის ქუჩის № 48 სახლში, ღვინის აღმართზე — სადალაქოში, მიხა ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნოში (მიხაილოვის პროსპ. № 110) და სხვ.. ამ პუნქტებს შორის მთავარი ადგილი ეჭირა მ. ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნოს, რომელიც იმავე დროს კავკასიის კავშირის კომიტეტის საექსპედიციო პუნქტი იყო.

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 7, საქმე 613, ფურც. 137 — 138.

იქ მზადდებოდა ყუთები, ორფსკერიანი ჩემოდნები; იქვე ანაწილებდნენ ლიტერატურას რაიონებში გასაგზავნად. სპეციალურ ყუთებში ჩაწყობილი არალეგალური ლიტერატურა სტამბიდან ზოგჯერ ურიკით პირდაპირ რკინიგზის სადგურზე მიჰქონდათ, საიდანაც მატარებლით გზავნიდნენ ქალაქებსა და სოფლებში მშრომელთა შორის გასავრცელებლად. ავლაბრის არალეგალური სტამბის პროდუქცია სისტემატურად ეგზავნებოდა ლენინს, საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრს.

II

1905 წლის 9 იანვრის ამბებით დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. 9 იანვარს პეტერბურგში მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ გაფიცვებისა და დემონსტრაციების მძლავრი ტალღა აზვირთდა. ზოგან მუშები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ჯარებს და პოლიციას. მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს მოჰყვა გლეხთა მღელვარება.

რუსეთის გმირ პროლეტარიატს შეუერთდა ამიერკავკასიის მუშათა კლასი და რევოლუციის ხანძარი ფართოდ მოედო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებს.

რევოლუციის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება პოლიტიკურ ლიტერატურაზე. ლენინი 1905 წელს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მიუთითებდა, რომ რევოლუციურ მასებს პარტიამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პოლიტიკური ლიტერატურის საშუალებითო. «პარტიის ხელმძღვანელობა, — წერდა ლენინი, — მოძრაობის ახლანდელი გიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება»[1].

მთელ რიგ სადირექტივო წერილებში და ცენტრალურ ორგანოებში მოთავსებულ სტატიებში ლენინი აშუქებდა პოლიტიკური ლიტერატურის მნიშვნელობას, ამავე დროს მიუთითებდა კომიტეტებს, რომ ადგილობრივ ორგანოებში გადაებეჭდათ სტატიები ცენტრალური ორგანოდან, გამოეცათ ეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 408.

სტატიები ფურცლებისა და ბროშურების სახით. ლენინი მიუთითებდა კომიტეტებს, რომ სისტემატურად დაებეჭდათ ფურცელ-ბიულეტენები, რომლებშიც გაშუქდებოდა ძირითადი ლოზუნგები და უმთავრესი მოვლენების შედეგები.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, განუხრელად ასრულებდა რა ლენინის მითითებებს, სახავდა ღონისძიებებს ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შემდგომ გასაფართოებლად. ამ ღონისძიებათა გატარებაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს დიდად შეუწყო ხელი მძლავრმა ტექნიკურმა ბაზამ — ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ, აგრეთვე რსდმპ კავკასიის კავშირში შემავალი კომიტეტების რაიონულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა სტამბებმა.

1905 წლის იანვრის ბოლოს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიიღო ცენტრალური ორგანო «ვპერიოდის» პირველი ნომრები. ამის გამო გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-8 ნომერში წერდნენ, ჩვენ მივიღეთ ახალი პარტიული ორგანო «ვპერიოდის» პირველი სამი ნომერი და აღტაცებით ვეგებებით ამ დიდად სერიოზულ მოვლენას ჩვენს პარტიულ ცხოვრებაშიო.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა განიზრახა «ვპერიოდის» ხელახლა გამოცემა და ავლაბრის არალეგალურ სტამბაში გადაბეჭდვა. 1905 წლის 6 თებერვალს კავკასიის კავშირის კომიტეტი უმრავლესობის კომიტეტის ბიუროს ამის შესახებ სწერდა: «კავშირის კომიტეტში აღძრულია საკითხი კავკასიისათვის «ვპერიოდის» სამ ენაზე ხელახლა გამოცემის შესახებ. სასურველია ვიცოდეთ თქვენი აზრი»[1]. 1905 წლის 4 მარტს ნ. კრუპსკაია ამის საპასუხოდ კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: «რასაკვირველია, ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ «ვპერიოდს» გადათარგმნით და გადაბეჭდავთ კავკასიაში, რა გვაქვს ამის საწინააღმდეგო?» [2].

სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო ეს განზრახვა ვერ განხორციელდა, მაგრამ სამაგიეროდ რსდმპ კავკასიის

---

[1] ჟურნალი «Пролетарская революция», 1925 წ., № 5 (40), გვ. 42—43.

[2] იქვე, გვ. 45.

კავშირის კომიტეტმა მოაწყო ცენტრალური ორგანოების — გაზეთ «ვპერიოდისა» და შემდეგ «პროლეტარის» რედაქციების ცალკეულ გამოცემათა გადაბეჭდვა-გავრცელება, რითაც ეწეოდა კავკასიის მშრომელ მასებში ლენინური იდეების ფართო პროპაგანდას.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ლენინისა და საზღვარგარეთის ბოლშევიკური ცენტრის ერთ-ერთ მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენდა. მისი მუშაობა მენშევიკებთან გააფთრებული ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ, იგი რუსეთის მთელ რიგ ორგანიზაციებში გზავნიდა აგენტებს დეზორგანიზაციის მოსახდენად. კავკასიაში ამ მიზნით ჩამოვიდა შემარიგებელი ვ. ა. ნოსკოვი (გლებოვი). მას შემდეგ, რაც მან ბაქოში მარცხი განიცადა, თბილისში ჩამოვიდა და მიიმხრო რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის მენშევიკური კომიტეტი, რომელმაც არ სცნო რსდმპ კავკასიის კავშირი და თვითნებურად გავიდა ამ კავშირიდან. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა თბილისის მენშევიკური კომიტეტის ასეთ საქციელს სასტიკი პროტესტით უპასუხა და 1905 წლის 30 იანვრის სხდომაზე მიიღო დადგენილება თბილისის მენშევიკური კომიტეტის დაშლისა და რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის ახალი ბოლშევიკური კომიტეტის შექმნის შესახებ. ამავე სხდომაზე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში კოოპტირებულ იქნა 5 ახალი წევრი — ბოლშევიკები [1]. სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე პარტიული ლიტერატურის გამოცემის საკითხი. მიიღეს დადგენილება რუსულ და სომხურ ენებზე პარტიული ლიტერატურის თარგმნისა და რედაქტირებისათვის კომიტეტის ორი წევრის გაპიროვნების შესახებ. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრებს, გარდა თავიანთი სავალდებულო ფუნქციებისა, დაევალათ თანამშრომლობა ორგანოში,

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში კოოპტირებულ წევრებს შორის იყვნენ: მიშა დავითაშვილი და ნინო ალაჯალოვა. ნ. ალაჯალოვა 1904 წლის სექტემბრიდან ასრულებდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ტექნიკური მდივნის მოვალეობას.

ფურცლებსა და კავკასიის კავშირის სხვა გამოცემებში. აქვე გამოჰყვეს საპასპორტო ბიუროს პასუხისმგებელი პირი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საპასპორტო ბიურო, რომელიც რევოლუციონერებისთვის ამზადებდა არალეგალურ პასპორტებს, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იყო მოწყობილი.

თბილისის მენშევიკების დეზორგანიზატორული მოქმედების სამხილებლად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ფართო საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გააჩაღა. 1905 წლის 4 თებერვალს კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია «თბილისის შეერთებულ მუშებს!», რომელიც დაიბეჭდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე (1600 ეგზემპლარი). პროკლამაციაში დაგმობილია თბილისის მენშევიკური კომიტეტი, რომელმაც «ფეხქვეშ გასთელა კავკასიის კავშირის იდეა, მიღებული პარტიის II ყრილობაზე», იქვე მოყვანილია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის დადგენილება თბილისის მენშევიკური კომიტეტის დაშლისა და თბილისის ახალი ბოლშევიკური კომიტეტის შექმნის შესახებ. კავკასიის კავშირის კომიტეტი ამ პროკლამაციაში მოუწოდებდა თბილისის მუშებს, რომ დარაზმულიყვნენ თბილისის ახალი კომიტეტის გარშემო და ებრძოლათ მისი ხელმძღვანელობით.

რსდმპ კავკასიის კავშირის გამომცემლობის პარალელურად მენშევიკური ორგანიზაცია თბილისში აარსებს თავის გამომცემლობას. მენშევიკები მთელი არსებით მონდომებულნი იყვნენ, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტის ტექნიკა — ავლაბრის სტამბა ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ მათი ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 1905 წლის გაზაფხულზე თბილისის მენშევიკური კომიტეტი აწყობს საკუთარ სტამბას[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გაბედული წამოწყება — ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც ბოლშევიკების ენერგიული მუშაობის შედეგად შეიქმნა, კავკასიის

---

1 ამ სტამბაში იბეჭდებოდა კავკასიის მენშევიკების არალეგალური ორგანო — გაზეთი «სოციალ-დემოკრატი», რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ და დემაგოგიურ სტატიებს აქვეყნებდა.

კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით განაგრძობდა მუშაობას და დიდი ტირაჟით ბეჭდავდა ბოლშევიკურ გაზეთებს, ბროშურებს, ფურცლებს, ბიულეტენებს. სტამბა განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა 1905 წლის იანვრიდან ნოემბრის დამლევამდე.

ივლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს — არალეგალურ გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლას». გაზეთის რედაქციას გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ი. სტალინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე და სხვ.

«პროლეტარიატის ბრძოლამ» უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინური იდეების დაცვისა და მისი პროპაგანდის საქმეში. პარტიის ცენტრალური ორგანოების «ვპერიოდისა» და «პროლეტარის» შემდეგ გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» უმნიშვნელოვანესი ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი იყო.

1905 წლის ივლისამდე გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა. 1905 წლის 1 (14) ივლისს ეს გაზეთი რუსულ ენაზედაც გამოდის «ბორბა პროლეტარიატას» სახელწოდებით. ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» რედაქცია, როცა მან «ბორბა პროლეტარიატას» პირველი ნომერი მიიღო, მხურვალედ მიესალმა მის გამოსვლას და ამის შესახებ წერდა: «ჩვენ კიდევ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს» [1].

«პროლეტარის» რედაქციას ამის შემდეგ გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ მოუთავსებია დადებითი რეცენზიები «პროლეტარიატის ბრძოლის» შესახებ. ამ გაზეთებს შორის იმთავითვე მჭიდრო კავშირი დამყარდა: «პროლეტარიატის

---

[1] გაზეთი «პროლეტარი», № 12, 1905 წ. 16 აგვისტო.

ბრძოლაში» გადმობეჭდავდნენ ხოლმე «პროლეტარის» სტატიებს; ასევე «პროლეტარის» რედაქცია ბეჭდავდა სტატიებსა და კორესპონდენციებს «პროლეტარიატის ბრძოლიდან».

ივლაბრის არალეგალურ სტამბაში 1905 წელს გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა: ქართულად № 8 (1 (14) იანვარი) — 2500 ეგზ., სომხურად № 5 — 1 200 ეგზ., ქართულად № 9 (1 (14) ივლისი) — 2 500 ეგზ., რუსულად № 1 — 1 200 ეგზ., სომხურად № 6 — 1 000 ეგზ., ქართულად № 10 (15 (28) ივლისი) — 2 500 ეგზ., რუსულად № 2 — 1 500 ეგზ., სომხურად № 7 — 1 000 ეგზ., ქართულად № 11 (15 (28) აგვისტო) — 2 000 ეგზ., რუსულად № 3 — 1 500 ეგზ., სომხურად № 8 — 1 000 ეგზ., ქართულად № 12 (15 (28) ოქტომბერი) [1].

გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაში» თავსდებოდა ვ. ი. ლენინის საპროგრამო სტატიები, რომლებიც გადმობეჭდილი იყო ცენტრალური ორგანოებიდან.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ლენინის ნაშრომების გამოქვეყნება დაიწყო ჯერ კიდევ გაზეთის პირველი ნომრიდან. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» 1903 წლის აპრილ-მაისის ნომერში (ქართულად № 5 — 6, სომხურად № 2 — 3) «ისკრიდან» გადმობეჭდეს ლენინის მიერ დაწერილი «ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» დაარსების შესახებ» და სტატია «თვითმპყრობელობა ირყევა».

რუსეთის პირველი რევოლუციის მღელვარე დღეებში «პროლეტარიატის ბრძოლაში» ცენტრალური ორგანო «პროლეტარიდან» გადმობეჭდეს ლენინის სტატიები «მესამე ყრილობა» (№ 9), «რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები» (№ 10), ლენინის მიერ დაწერილი «რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ» (№ 9).

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ივლაბრის არალეგალურ სტამბაში აწყობს ლენინის სხვა შრომების — ბროშუ-

---

[1] გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» მე-12 ნომრის მხოლოდ პირველი ორი ფურცელია აღმოჩენილი; არც ტირაჟის შესახებ გვაქვს ცნობა.

რების, ფურცლების გადმობეჭდვას. 1905 წლის 4 მარტს ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ქართულ ენაზე დაიბეჭდა ლენინის ბროშურა «სოფლის ღარიბებს»[1] — 3 000 ეგზ.. ლენინი ამ ბროშურაში გლეხობის უფართოეს და ნაკლებად შეგნებულ ფენებს პოპულარულად და განსაკუთრებული ოსტატობით განუმარტავს პარტიის პროგრამას.

1905 წლის მაის-ივნისში სტამბაში დაიბეჭდა ლენინის ბროშურა «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა» (გადმობეჭდილია გაზეთ «ვპერიოდის» № 14-დან), ქართულად — 2 000 ეგზ., რუსულად — 1 000 ეგზ., სომხურად — 1 000 ეგზ.. ლენინი ამ ნაშრომში ამუშავებს და ასაბუთებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ბოლშევიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას და ამხილებს მენშევიკების ოპორტუნისტულ ტაქტიკას.

1905 წ. ივლისში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბეჭდება ლენინის მიერ დაწერილი ფურცელი «სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა», რომელიც გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა, რუსულად— 1 000 ეგზ., ქართულად — 2 000 ეგზ., სომხურად — 1 500 ეგზ.. ამ ფურცელში ლენინი განმარტავს სახელმწიფო წყობილების სამ ფორმას: თვითმპყრობელურ მონარქიას, კონსტიტუციურ მონარქიას და დემოკრატიულ რესპუბლიკას; აშუქებს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობას და ასაბუთებს მისი შექმნის აუცილებლობას.

ცნობილია, რომ პარტიის III ყრილობის შემდეგ ლენინს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნდა ყრილობის ტაქტიკური ხაზის პროპაგანდა და მენშევიკების ჟენევის კონფერენციის დადგენილებების კრიტიკა. ლენინმა დაწერა სტატია «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ», რომელიც მოწინავედ გამოქვეყნდა ცენტრალურ ორგანო «პროლეტარის» 1-ლ ნომერში (1905 წლის 27 (14) მაისს). ლენინის ხელმძღვანელობით და მისი

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ბროშურა გამოსცა სათაურით: «სოფლის გაჭირვებულ გლეხ-კაცობას»; მას აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა.

შეთითებით ეწყობოდა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა გამოცემა და გავრცელება. 1905 წლის 12 ივლისს ლენინი რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს სწერდა: «ძლიერ მიკვირს, რომ რუსეთში «ცნობა» [1] სრულად არ გამოდის. ეს სკანდალია!!! დააჩქარეთ ამ მხრივ ყველა ტექნიკა...» [2].

1905 წლის ზაფხულში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა ბროშურა სათაურით: «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ». ბროშურა იხსნება ლენინის ამავე სათაურის სტატიით და მას ერთვის, ლენინის მიერ დაწერილი, პარტიის III ყრილობაზე მიღებული უმთავრესი რეზოლუციები, როგორიცაა: შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ, რსდმპ აშკარა პოლიტიკური გამოსვლების შესახებ, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ, კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ და სხვ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან არსებულმა «ლიტერატურულმა ჯგუფმა» ბროშურა «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ» თარგმნა ქართულ, სომხურ ენებზე და 1905 წლის სექტემბერში დაბეჭდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში.

ლენინის მიერ დაწერილ ამ ისტორიულ დოკუმენტებში შოცემულია რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების დახასიათება, გარკვეულია პროლეტარიატის ამოცანები, პროლეტარიატის ჰეგემონიის როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხები.

ამიერკავკასიის რევოლუციური მასები მშობლიურ ენაზე ეცნობოდნენ და სწავლობდნენ ლენინის შრომებს და ამ შრომებით ხელმძღვანელობდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

---

[1] იგულისხმება «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ».

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 357.

1905 წ. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა სტალინის მრავალი ნაშრომი. გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა სტალინის სტატიები: «პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია» (№ 8), «შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა» (№ 10), «დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია» (№ 11), «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» (№ 11), «რეაქცია მწვავდება» (№ 12), «ბურჟუაზია მახეს აგებს» (№ 12) და სხვ.. მაის-ივნისში სტამბაში დაბეჭდეს სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე», ქართულად— 2000 ეგზ., რუსულად — 1500 ეგზ., სომხურად — 1500 ეგზ..

როგორც ცნობილია, სტალინის ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» და სტატია «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» მიძღვნილია ლენინის იმ დებულებათა დაცვისადმი, რომლებიც დასაბუთებულია მის განთქმულ წიგნში «რა ვაკეთოთ?». საზღვარგარეთის ბოლშევიკურმა ცენტრმა შეიტყო სტალინის ამ ბროშურის გამოცემის ამბავი; 1905 წლის 18 ივლისს ნ. კრუპსკაია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: «გვაცნობეს, რომ კავკასიის კავშირმა გამოსცა ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე», რომელმაც მოახდინა სენსაცია. გამოგვიგზავნეთ იგი» [1].

ლენინი ცენტრალურ ორგანო «პროლეტარში» მაღალ შეფასებას აძლევდა სტალინის სტატიას «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» და წერდა: «ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სტატიაში «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»» ცნობილი საკითხი «შეგნების გარედან შეტანის» შესახებ ჩინებულადაა დაყენებული» [2].

სტალინის კალამს ეკუთვნის ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი მრავალი პროკლამაცია და ფურცელი, როგორიცაა: «კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!» (1905 წ. 8 იანვარი), რუსულად — 3800 ეგზ., ქართულად — 6000 ეგზ., სომხურად—3000 ეგზ.; «გაუმარჯოს საერთაშორისო

---

[1] Партия в революции 1905 года. Документы к истории партии в 1905 году, 1934წ., გვ. 306.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 476.

ძმობას!» (1905 წ. 13 თებერვალი), «მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!» (1905 წ. 15 თებერვალი), ქართულად — 2000 ეგზ., რუსულად — 1 500 ეგზ., სომხურად— 1500 ეგზ.; «ყველა მუშას!» (1905 წ. 19 ოქტომბერი), რუსულად და ქართულად — 4000 ეგზ. და სხვ.

ზემოჩამოთვლილ ნაშრომებში სტალინი თანმიმდევრულად იცავს ლენინის მიერ შემუშავებულ რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს. იგი ამხილებს და სასტიკად აკრიტიკებს მენშევიკებს, ესერებს, ფედერალისტებს და მარქსიზმის სხვა მტრებს.

გარდა აღნიშნულისა, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა: «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა მიღებული პარტიის II ყრილობაზე», რუსულად — 2000 ეგზ., ქართულად — 3000 ეგზ., სომხურად — 1 500 ეგზ., «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წესდება მიღებული მის III ყრილობაზე», რუსულად — 600 ეგზ., სომხურად — 400 ეგზ., ქართულად — 500 ეგზ., პოპულარული ბროშურები: ვ. ლიბკნეხტის «ობობა და ბუზი» — 6 000 ეგზ., ს. დიკშტეინის «ვინ რით ცხოვრობს?» — 2 000 ეგზ., გალიორკას (მ. ს. ოლმინსკის) «ოპორტუნიზმის სხვადასხვა სახეობა» (გადმობეჭდილი «ვპერიოდიდან») — 2 300 ეგზ. და «ახალ გზაზე» (გადმობეჭდილი «პროლეტარიდან») — 1000 ეგზ., «სარევოლუციო სიმღერები» — 1 320 ეგზ. და სხვ.; პროკლამაციები და ფურცლები: «ქართლ-კახეთის გლეხკაცობას!» — 9 000 ეგზ., «იმტვრევა ბორკილები!» (ელიზავეტოპოლის ჯგუფის გამოცემა) — 1 800 ეგზ., «მუშის წერილი «ვპერიოდის» რედაქციას» (გადმობეჭდილი «ვპერიოდიდან») — 8600 ეგზ., «კავკასიის მუშებს. რა გამოირკვა?» — 24 000 ეგზ., «მარსელიეზა» — 17 600 ეგზ., — «რუსეთის ყველა მუშას და მუშა-ქალს!» (უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს გამოცემა) — 10 500 ეგზ., «ბათუმის ყველა მუშებს!» — 9 000 ეგზ., «პირველი მაისი» — 15 500 ეგზ., «სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის!» — 9 000 ეგზ., «ჯარისკაცებს!» — 12 200 ეგზ., ბიულეტენი «ტელეგრაფის უკანასკნელი ცნობები» — 1 000 ეგზ. და მრავალი

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემები.

სხვა პროკლამაცია და ფურცელი, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არასრული ცნობით, 1905 წლის 8 იანვრიდან 20 ნოემბრამდე ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაუბეჭდავთ ტირაჟით 280 ათასამდე ეგზემპლარი გაზეთი, ბროშურა, პროკლამაცია და ფურცელი [1].

თუმცა ეს ციფრი არ იძლევა 1905 წელს ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის რაოდენობის სრულ სურათს, მაგრამ მაინც ნათლად გვიჩვენებს ამ სტამბის პროდუქციის სიუხვეს.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა წარმოადგენდა რუსეთის პირველ რევოლუციაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ ლენინური პრინციპების დაცვის ბრწყინვალე ნიმუშს; იგი ქადაგებდა რევოლუციის განვითარებას, შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობას, პროლეტარიატის ჰეგემონიას, მუშათა და გლეხთა კავშირს, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას და რევოლუციის გამარჯვებამდე მიყვანას. გაზეთები, პროკლამაციები, ბროშურები მასებს ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მოუწოდებდა ამიერკავკასიის მშრომელ ხალხს დიდ რუს ხალხთან სოლიდარობის განმტკიცებისაკენ, აშუქებდა რუსეთის გმირი პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს თვითმპყრობელობის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმეში.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის მრავალეროვან მშრომელ ხალხთა სოლიდარობის განმტკიცებისათვის. ამის ნათელსაყოფად აქ უნდა შევეხოთ ბაქოში მეფის მთავრობის მიერ პროვიციერებული სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტის საპროტესტოდ 1905 წლის 13 და 14 თებერვალს ქ. თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოწყობილ დემონსტრაციებს. ამ დემონსტრაციებზე თავი მოიყარა 8 000-მდე კაცმა — სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა. დემონსტრანტებს შორის ფართოდ ვრცელდებოდა სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია

---

1 მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

«გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!», რომელშიც იგი ამხილებდა მეფის მთავრობის ვერაგობას: მეფის მთავრობა ერთაშორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას ცდილობს, რათა პროლეტარიატის ძალები დაქსაქსოს და რევოლუციის დამარცხება დააჩქაროსო. სტალინი მოუწოდებდა სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს შეკავშირებულიყვნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ.

ბოლშევიკური აგიტაციის, პროკლამაციების გავრცელების შედეგად მასების რევოლუციური განწყობილება გაძლიერდა და დემონსტრაციის მონაწილე სხვადასხვა ერის მშრომელნი უფრო დაძმობილდნენ. ასე ჩაიშალა მეფის მთავრობის ვერაგული განზრახვა, რომლის მიზანი იყო თბილისში ძმათამკვლელი შეტაკების გამოწვევა.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილმა ლიტერატურამ დიდად შეუწყო ხელი 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებში ამიერკავკასიის რევოლუციური მასების დარაზმვას და მათ შეუპოვარ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის რევოლუციური მასების ეს გმირული ბრძოლა, რასაც ისინი რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში — 1905 წელს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ, ლენინის მიერ არა ერთხელ ყოფილა ბრწყინვალედ შეფასებული.

ცნობილია, რომ პარტიის III ყრილობამ, განიხილა რა საკითხი რევოლუციის შესახებ კავკასიაში, ლენინის წინადადებით მიიღო რეზოლუცია «კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ». ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლიდა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას, ავალებდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიეღოთ კავკასიაში საქმის მდგომარეობის ამსახველი ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების და სხვა საშუალებით.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პარტიის III ყრილობაზე არა ერთხელ აღინიშნა რსდმპ კავკასიის კავშირის ლიტერა-

ტურულ-საგამომცემლო მუშაობის წარმატებები. ყრილობაზე მ. ცხაკაია ამბობდა, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დაარსებიდან ორი წლის განმავლობაში (1903 — 1905 წწ.) გამოუშვა ნახევარ მილიონამდე ეგზემპლარი ფურცლებიო. ა. ჯაფარიძემ, ილაპარაკა რა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხზე, აღნიშნა, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ფურცლების, პოპულარული ბროშურების გამოცემის საქმეშიო. მ. ცხაკაია შეეხო რაიონული ორგანიზაციებისადმი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობის საკითხს და განაცხადა: «კავშირის კომიტეტი, ადგას რა სოფლადაც თავის ტაქტიკას და პოლიტიკურ ლოზუნგებს— ბრძოლა თვითმპყრობელობასთან დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, — სცემდა და ავრცელებდა სოფლად ისეთსავე ლიტერატურას, როგორსაც ქალაქის მუშათა შორის; მან სპეციალურად სოფლისათვის გამოსცა რამდენიმე ბროშურა, ორიგინალური და თარგმნილი (მათ შორის ლენინის «სოფლის ღარიბებს»), ფურცლები, პროკლამაციები, ამასთან ორგანიზაციებს ეხმარებოდა საკუთარი ტექნიკის მოწყობაში, რათა უფრო ხშირად გამოეცათ მკვეთრად პოლიტიკური ხასიათის პროკლამაციები, ამასთან, რა თქმა უნდა, მუდამ იყო წამოყენებული გლეხთა ეკონომიური მოთხოვნები»[1].

პარტიის III ყრილობაზე ორატორებმა მოიხსენიეს აგრეთვე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბა (იგულისხმება ავლაბრის არალეგალური სტამბა. — ზ. გ.), რომელიც ჩინებულ ტექნიკურ საშუალებებს ფლობსო, და მიუთითებდნენ მის მნიშვნელობაზე პარტიული ლიტერატურის ბეჭდვის საქმეში.

რევოლუციური ლიტერატურის ბეჭდვასთან ერთად ავლაბრის არალეგალურ სტამბას დიდი წარმატება ჰქონდა ლიტერატურის გავრცელების საქმეში. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევა ავლაბრის არალეგალური სტამბიდან ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნილი ლიტერატურის ანგარიში. ანგარიშიდან ირკვევა, რომ 1905 წლის 1 თებერვლიდან

---

[1] Протоколы третьего съезда РСДРП. 1937 წ., გვ. 246.

20 აპრილამდე ავლაბრის არალეგალური სტამბიდან ამიერკავკასიის ქალაქებში გაუგზავნიათ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე სხვადასხვა სახელწოდების ლიტერატურა: ბათუმში — 37 სახელწოდებისა, 11 820 ეგზ. (წონით 31 ფუთი და 8 გირვანქა), ქუთაისში — 36 სახელწოდებისა, 3 348 ეგზ. (წონით 10 ფუთი და 12 გირვანქა), ბაქოში — 34 სახელწოდებისა, 4.656 ეგზ. (წონით 8 ფუთი და 36 გირვანქა); სულ ბათუმსა, ქუთაისსა და ბაქოში გაუგზავნიათ 19 824 ეგზემპლარი (წონით 50 ფუთი და 16 გირვანქა) გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები, ფურცლები. «ამ ციფრში არ შესულა კავკასიის სხვა ადგილებში გადატანილი ლიტერატურა, რომელიც, ალბათ, 3 — 5 ფუთზე ნაკლები არ იქნება» [1], — ვკითხულობთ ავლაბრის არალეგალური სტამბის 1905 წლის თებერვალ-აპრილის ანგარიშში გადაზიდული ლიტერატურის შესახებ [2].

ამ ანგარიშს თან ერთვის ბათუმსა, ქუთაისსა და ბაქოში გაგზავნილი ლიტერატურის სია, სადაც აღნიშნულია, რომ ლენინის ბროშურა «სოფლის ღარიბებს» გაუგზავნიათ: ბათუმში — 1 500 ეგზ., ქუთაისში — 300 ეგზ.; გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» გაუგზავნიათ: ბათუმში — 1 500 ეგზ., ქუთაისში — 470 ეგზ., ბაქოში — 500 ეგზ.; ს. დიკშტეინის ბროშურა «ვინ რით ცხოვრობს?» გაუგზავნიათ: ბათუმში 300 ეგზ., ბაქოში — 500 ეგზ., ქუთაისში — 50 ეგზ.. გაგზავნილი ლიტერატურის სიაში დასახელებულია აგრეთვე ბროშურები: «ახალ გზაზე», «სოციალიზმზე», «ვინ უნდა გაიმარჯვოს?» და სხვ.

ავლაბრის არალეგალური სტამბის პროდუქცია ფართოდ ვრცელდებოდა ამიერკავკასიის ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სახელოსნოებში, შაღაროებში, ჯარში, გლეხობაში, მოსწავლეებში და სხვ.

---

1 მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

2 რაც შეეხება სტამბიდან 1905 წლის აპრილის შემდეგ გადაზიდული ლიტერატურის როდენობას, ამაზე დოკუმენტალური მასალა არ მოგვეპოვება.

არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის ასე ფართოდ გავრცელება თავზარს სცემდა მეფის მთავრობას. მეფის სატრაპები საიდუმლო მოხსენებებში უდიდეს აღშფოთებას გამოთქვამდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემათა გავრცელების გამო და აღნიშნავდნენ მათ გამარევოლუციურებელ მნიშვნელობას.

1905 წლის იანვარში ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ გურიაში კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემები მასობრივად ვრცელდებაო. 1905 წლის 26 იანვარს ბაქოს პოლიციის მე-3 უბნის ბოქაული პროკურორს სწერს, რომ მის უბანში დიდი რაოდენობით გავრცელდა კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციები: «კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!» და «სათადარიგო ჯარისკაცთ!». 1905 წლის 26 იანვარს ლანჩხუთის მაზრის ბოქაულმა გლეხები დააპატიმრა იმ დროს, როდესაც ისინი ავრცელებდნენ ფურცლებს: «კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!» და «მარსელიეზა». 1905 წლის 28 მარტს ქ. ელიზავეტოპოლის რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს აცნობებს, რომ ღამით ქალაქში დიდი რაოდენობით გავრცელდა პროკლამაცია — «იმტვრევა ბორკილები!». 1905 წლის 29 აპრილს ბათუმში მცხოვრები ერთ-ერთი გლეხის ბინაში ჟანდარმებმა ჩხრეკის დროს ხელში ჩაიგდეს ბროშურა — «სოფლის ღარიბებს», 4 ეგზ. (ქართულ ენაზე), «პროლეტარიატის ბრძოლა» (№ 8), 2 ეგზ. და კავკასიის კავშირის სხვა გამოცემები. 1905 წლის 15 აგვისტოს ბაქოს რკინიგზის სადგურის მახლობლად მუშებისა და ხელოსნების კრებას თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც კრების ადგილზე აღმოაჩინა ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» (რუსულ ენაზე).

1905 წლის სექტემბერს სენაკის მაზრის უფროსი კავკასიის პოლიციის გამგისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 1904 — 1905 წლებში გლეხთა შორის კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციების მასობრივად გავრცელებამ გამოიწვია გლეხების პირდაპირ მტრული განწყობილება

მემამულეებისადმი, რომ გლეხები აღარ ამუშავებენ მემამულეთა მიწას და გლეხთა მოძრაობამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

1906 წლის 26 იანვარს თბილისიდან ალექსანდროპოლს მიმავალ მატარებელში ჟანდარმებმა დააპატიმრეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ტრანსპორტიორი მარტიროს მირაქიანცი, რომელსაც ალექსანდროპოლში გასავრცელებლად ჩემოდნით მიჰქონდა დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, მათ შორის — ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა ვრცელდებოდა არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, 1906 წლის 12 იანვარს ძიზიკში (თურქესტანი) ჟანდარმებმა გაჩხრიკეს კლიმენკოს ბინა და იპოვეს «ბორბა პროლეტარიატის» მე-2 ნომერი. 1906 წლის 18 ივლისს ქ. ამხაბადში მუმლაძის ბინაში ჟანდარმებმა აღმოაჩინეს არალეგალური სტამბა და დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, მათ შორის იყო გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» (№№ 10 და 11)[1].

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელების კიდევ მრავალი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ზემოთქმულიც ცხადყოფს ამ სტამბის პროდუქციის როლსა და მნიშვნელობას.

ავლაბრის არალეგალური სტამბა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენდა არალეგალური ლიტერატურის სამჭედლოს, ამასთან ერთად იყო კავკასიის კავშირის კომიტეტის კონსპირაციული სახელოსნოც, სადაც მზადდებოდა პასპორტები და სხვა დოკუმენტები არალეგალური პარტიული მუშაობისათვის. სტამბაში ინახავდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მნიშვნელოვან დოკუმენტებს: ოქმებს, გაშიფრულ და გაუშიფრავ მიწერ-მოწერას ლენინთან, საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, კონსპირაციულ მისამართებს და სხვ.

---

1 გაზეთი «Правда Востока», 1946 წ., 11 ოქტომბერი, გვ. 2.

III

1905 წ. ოქტომბერ-დეკემბერში რუსეთის პირველმა რევოლუციამ უმაღლეს ფაზას მიაღწია. რუსეთის პროლეტარიატმა ძლიერი იერიში მიიტანა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ამიერკავკასიის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ბრძოლის სანიმუშო მაგალითები გვიჩვენეს. ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლის ამ ქარიშხლიან დღეებში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ პარტიულ ლიტერატურას რევოლუციური მასებისათვის დიდი მაორგანიზებელი და დამრაზმავი მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ აიძულა მეფე გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რითაც ფორმალურად გამოცხადდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, სარგებლობს რა 17 ოქტომბრის მანიფესტის ფორმალური უფლებებით, ლენინის მითითების საფუძველზე, 1905 წლის ნოემბრიდან არალეგალურ ბეჭდვით სიტყვასთან ერთად ფართოდ აჩაღებს პარტიული ლიტერატურის ლეგალურად გამოცემას. 1905 წლის 20 ნოემბრიდან თბილისში გამოსვლა დაიწყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანომ, ყოველდღიურმა ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა «კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა». ეს გაზეთი იბეჭდებოდა თამამშევის სტამბაში, რომელიც მოთავსებული იყო ველიამინოვის ქ. № 7 სახლში (ამჟამად ი. ჭავჭავაძის ქ. № 7).

ამასთან დაკავშირებით ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1905 წლის ნოემბრის ბოლოს დროებით შეწყდა მუშაობა. სტამბის მუშაკთა ნაწილი სამუშაოდ გადავიდა თამამშევის სტამბაში. «დიასახლისი» ბაბე ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილთან და სხვა ამხანაგებთან ერთად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით იგზავნებიან ქუთაისში, სადაც ისინი გვირაბს თხრიდნენ ცეიხჰაუზიდან იარაღის გამოსატანად.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის ფორმალური ხასიათი სულ მალე გამოაშკარავდა; ცხადი გახდა, რომ ის

წარმოადგენდა თვითმპყრობელობის ფანდს ხალხის მოსატყუებლად, რათა მეფის მთავრობას ძალ-ღონე მოეკრიბა და ახალი იერიში მიეტანა რევოლუციის ჩასაქრობად. «მთავრობამ დაიწყო დათმობა სიტყვით, — წერდა ლენინი, — და მაშინვე შეტევის მომზადებას შეუდგა საქმით»[1].

1905 წლის 24 ნოემბერს გამოიცა მეფის ბრძანებულება, რომლითაც იზღუდებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტით «ბოძებული» უფლებები. რეაქცია გამწვავდა. მეფის მთავრობამ რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში სამხედრო წესები შემოიღო; აკრძალეს ლეგალური ბოლშევიკური გაზეთები. დახურეს გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკიც».

რეაქციის გაძწვავებას რუსეთის პროლეტარიატმა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი იერიშით უპასუხა. 7 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. 9 დეკემბერს მოსკოვის პროლეტარიატი იარაღით ხელში იწყებს მეფის ჯართან ბრძოლას. აჯანყების ხანძარი მთელ რუსეთს მოედო. 1905 წლის დეკემბერში საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა შეიარაღებულმა ბრძოლამ განსაკუთრებით მასობრივი და შეუპოვარი ხასიათი მიიღო.

დეკემბრის აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, და რევოლუციის აღმავლობა შეიცვალა მისი თანდათანობითი შენელებით. მეფის მთავრობის სადამსჯელო ჯარები გაიგზავნა მთელ რიგ გუბერნიებში. დამსჯელი ექსპედიციები მძვინვარებდა ამიერკავკასიაშიც. მაგრამ მუშათა და გლეხთა ბრძოლა როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში კვლავ გრძელდებოდა. ბოლშევიკები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას—არალეგალური ბრძოლის ფორმას—ისევ ფართოდ იყენებდნენ. 1905 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში მუშაობა ისევ განახლდა. მაშინ სტამბაში მუშაობდნენ: მაკარი გოგუაძე [2], გიგო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 550.

[2] გოგუაძე მაკარი ოქროპირის-ძე (1882 — 1939) — 1904—1905 წლებში ასოთამწყობად მუშაობდა ჯერ რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში, შემდეგ რსდმპ ც. კ-ის არალეგალურ სტამბაში ქ. ბაქოში.

ლელაშვილი, ჭიჭიკო კალანდაძე, ვიქტორ წულაძე[1] და სხვა. «დიასახლისის» როლს ასრულებდა მაკარი გოგუაძის მეუღლე მარო გოგუაძე. სტამბაში მომუშავენი, ისე როგორც წინათ, მუშაობის განახლების შემდეგაც მტკიცედ იცავდნენ კონსპირაციას და დისციპლინას. მათ მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა მიხო ბოჭორიძე. სტამბაში ბეჭდავდნენ მხოლოდ ბროშურებს, პროკლამაციებსა და ფურცლებს. 1906 წლის იანვრის დამდეგს ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა სტალინის ბროშურა «ორი შეჯახება» (9 იანვრის გამო), რომელშიც მოცემულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის დაცვა, მენშევიკების სასტიკი კრიტიკა. იქვე დაიბეჭდა ბროშურა «ცნობა უმცირესუმრავლესობის საერთო-სარუსეთო კონფერენციებზე», რსდმპ პირველი (ტამერფორსის) კონფერენციის რეზოლუციებით — ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია აგრარულ საკითხზე. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებული რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროზე, რეზოლუციები ცენტრების შეერთებისა და პარტიის რეორგანიზაციის შესახებ.

ტამერფორსის კონფერენციის დადგენილების საფუძველზე 1906 წლის იანვარ-თებერვალში თბილისსა, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში მოიწვიეს ბოლშევიკებისა და მენშევიკების გამაერთიანებელი კონფერენციები, რომლებზეც აირჩიეს გაერთიანებული კომიტეტები. 1906 წლის თებერვალში დაარსდა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტი. ამ დროიდან კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავისი არსებობა შეწყვიტა და ავლაბრის არალეგალური სტამბა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

---

[1] წულაძე ვიქტორ გიორგის-ძე (1876 — 1953) — 1901 წლის ზაფხულიდან 1902 წლის გაზაფხულამდე ასოთამწყობად მუშაობდა ბაქოს არალეგალურ სტამბაში («ნინა»). 1903 წელს გადაასახლეს ტაშკენტში. 1905 წლის ოქტომბერში გადასახლებიდან დაბრუნდა თბილისში.

1906 წლის თებერვალში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ფურცლები და პროკლამაციები, როგორიცაა: «ყველა მოქალაქეს. ისინი იცინიან, მარა სცდებიან!», რუსულად — 2 000 ეგზ., ქართულად — 2 500 ეგზ., სომხურად — 2 000 ეგზ.; «თანამედროვე რეაქციის შესახებ. ყველა მოქალაქეს!», რუსულად — 2 000 ეგზ., ქართულად — 4 000 ეგზ., სომხურად— 3000 ეგზ.; «თბილისის პირველი რაიონის მუშებს!», ქართულად — 700 ეგზ., რუსულად — 300 ეგზ., სომხურად — 300 ეგზ.; «სახელმწიფო სათათბირო, თუ დამფუძნებელი კრება?», რუსულად — 3 000 ეგზ., ქართულად — 3 000 ეგზ., სომხურად — 3 000 ეგზ.; «მეფის რეფორმა, თუ ხალხის რევოლუცია?», რუსულად — 2 000 ეგზ., ქართულად — 2 000 ეგზ., სომხურად — 2000 ეგზ. და სხვ.. სტამბაში დაიბეჭდა აგრეთვე ჯარისკაცთა კავშირის ფურცლები.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1906 წლის 5 თებერვლიდან 25 თებერვლამდე დაბეჭდილი ლიტერატურის ტირაჟი 65 200 ეგზემპლარს უდრის[1] (ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის დოკუმენტალური მასალა 1906 წლის იანვარში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის შესახებ).

1906 წლის მარტში ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ ისევ შეწყვიტა მუშაობა. სტამბის მუშაკები მაკარი გოგუაძე, პიჭიკო კალანდაძე, გიგო ლელაშვილი, მარო გოგუაძე და სხვ. რსდმპ ც. კ-ის დავალებით გაემგზავრნენ პეტერბურგს ცენტრალური კომიტეტის სტამბაში სამუშაოდ.

რევოლუციის შენელების დროსაც ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ პარტიულ ლიტერატურაში ბოლშევიკები ამხილებდნენ მენშევიკების გამცემლობას რევოლუციაში და მიუთითებდნენ იმ გაკვეთილებზე, რაც პროლეტარიატმა მიიღო 1905 წლის გმირული ბრძოლების დროს; ისინი მოუწოდებდნენ მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

განემტკიცებიათ კავშირი და დარაზმულიყვნენ თვითმპყრობელობასთან უკანასკნელი და გადამწყვეტი შეჯახებისათვის. სტამბაში დაბეჭდილი ბროშურები, პროკლამაციები და ფურცლები გამსჭვალული იყო პროლეტარიატის ძალების ურყევი რწმენით, მისი გამარჯვების იმედით. «არა, ამხანაგებო!, — წერდა სტალინი ბროშურაში «ორი შეჯახება», — რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისთვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა»[1].

IV

1906 წლის დასაწყისიდან რუსეთის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ახალი შეტევისათვის ემზადებოდა. პეტერბურგსა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, პარტიის III ყრილობის დადგენილების თანახმად შექმნილი სამხედრო-ტექნიკური მებრძოლი ჯგუფები, რომლებიც მუშათა რევოლუციური გამოსვლებისათვის სამხედრო ინსტრუქტორებს ამზადებდნენ, კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას. ასეთი სამხედრო-ტექნიკური მებრძოლი ჯგუფი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისშიაც იყო მოწყობილი. ამ ჯგუფის ორგანიზატორობა დავალებული ჰქონდა მიხო ბოჭორიძეს. პირველ ხანებში ჯგუფის მეცადინეობა მიმდინარეობდა კერძო ბინაში, მაგრამ იქ მუშაობა ასეთი კონსპირაციული საქმისათვის მალე მოუხერხებელი შეიქნა. 1906 წლის მარტში, რადგან ავლაბრის არალეგალურ სტამბაში მუშაობა შეწყვეტილი იყო, სამხედრო ჯგუფის წევრები ამ სტამბის ზემოთ დაშენებულ საცხოვრებელ სახლში გადავიდნენ და დაბინავდნენ როგორც

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 195.

რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშის, ზარდიაშვილის ოჯახის წევრები.

«1906 წლის მარტში, — მოგვითხრობს სამხედრო ჯგუფის წევრი ნინო ალაჯალოვა, — ზარდიაშვილის ოჯახის სახელზე გაკეთებული არალეგალური პასპორტით, ჯგუფის მონაწილენი ავლაბრის სტამბის საცხოვრებელ ბინაში დავსახლდით, ხოლო დედის როლს ბაბე ბოჭორიძე ასრულებდა»[1].

კონსპირაციის მიზნით ბინაში ელექტროსახელოსნო მოაწყვეს. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა სამხედრო საქმის სპეციალისტი, რომელიც მათ ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა დამზადებას ასწავლიდა. მეცადინეობა საცხოვრებელ ბინაში მიმდინარეობდა. იქვე, ერთ-ერთ ოთახში, მოეწყო ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა დამამზადებელი ლაბორატორია. შესვენების საათებში სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის წევრები გარეშე პირთა თვალის ასახვევად ეზოში ბურთს თამაშობდნენ.

სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის მეცადინეობა იქ დიდხანს არ გაგრძელებულა. გაძლიერებულმა რეპრესიებმა ავლაბრის სტამბის კონსპირაციული ბინა ჩავარდნის საფრთხის წინაშე დააყენა. 1906 წლის მარტში თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო შეივსო ახალი და გამოწვრთნილი აგენტებით, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ რევოლუციონერებს, დაეძებდნენ კონსპირაციულ ბინებს, არალეგალურ სტამბებს, ფეთქებად ნივთიერებათა და არალეგალური ლიტერატურის საწყობებს და სხვ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბაში იმ დროისათვის დიდი ტირაჟით დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელება მეფის ხელისუფალთა შეშფოთებას იწვევდა. ისინი თავგამოდებით დაეძებდნენ არალეგალური ლიტერატურის კერას — არალეგალურ სტამბებს. ოხრანკის აგენტები თვალყურს ადევნებდნენ «შემჩნეულ» პირებს, ჩხრეკდნენ ლეგალურ სტამბებს, ხშირად აპატიმრებდნენ

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

სტამბის მუშებს და აწარმოებდნენ მათ დაკითხვას. მეფის სატრაპები პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს სისტემატურად უგზავნიდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემებს და თან აცნობებდნენ არალეგალური სტამბების აღმოსაჩენად მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ჯერ კიდევ 1904 წლიდან მოეპოვებოდა აგენტურული ცნობები, რომ თბილისის განაპირა რაიონში არსებობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური სტამბა, მაგრამ სტამბის ადგილსამყოფელის მიგნება გაუძნელდათ მისი ოსტატური კონსპირაციის გამო. 1906 წლის დასაწყისს ჟანდარმერიას უკვე ჰქონდა დაახლოებითი ცნობები კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური სტამბის ადგილსამყოფელის შესახებ. 1906 წლის მარტ-აპრილში კი ამ სტამბის შენობაზე პოლიცია-ჟანდარმერიის აგენტთა მეთვალყურეობა განსაკუთრებით გაძლიერდა.

1906 წლის 1 აპრილს ოხრანკის თბილისის განყოფილების უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს შემდეგს მოახსენებდა: «გასულ 29 მარტს ჩემს მიერ მიღებული სააგენტურო ცნობებით, რსდმპ კავკასიის კავშირის, ამჟამად ამავე პარტიის გაერთიანებული კომიტეტის ფარული სტამბა დღემდე მოთავსებული იყო ქალაქის განაპირას, ნავთლუღის მხარეზე, რკინიგზის ვაკისის ახლოს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს პირდაპირ, მწვავე გადამდებიანი სენით დაავადებულთა ახალი ბარაკების გვერდით, რკინიგზის სახელოსნოს ყოფილ ზეინკალ როსტომაშვილის კუთვნილ მიწაზე, რომელიც მას დაუთმია სტამბისათვის შესაფერი შენობის ასაგებად. ასეთი შენობა აგებულ იქნა კიდეც 1903 წელს... ამ ნაგებობათა ქვეშ უნდა იყოს მეტისმეტად ფარული შესასვლელის მქონე თაღებიანი მიწისქვეშა შენობა, სადაც, ალბათ, მოთავსებულია სტამბა... მოვახსენებ რა ამას თქვენს აღმატებულებას, დავსძენ, რომ განზრახვა მაქვს შევამოწმო ეს ცნობები ჩხრეკის გზით, ამასთან წინასწარ დავაწესო მხოლოდ მცირეოდენი მეთვალყურეობა გარედან, ვინაიდან ასეთ მეთვალყურეობას



ავლაბრის არალეგალური სტამბის მეთვალყურეობის სქემა, შედგენილი თბილისის ოხრანკის მიერ.

არ შეუძლია განსაკუთრებული რამ მოგვცეს ორგანიზაციების გამოძიების მხრივ, ამავე დროს კი სტამბის გამოყვანა ხმარებიდან მეტად არსებით საჭიროებას წარმოადგენს» [1].

ამის შემდეგ მეფის ოხრანკა ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობაზე განსაკუთრებულ მეთვალყურეობას აწესებს, ადგენს მიმსვლელ-მომსვლელთა დაკვირვების დღიურს; ასეთი დღიურის შედგენა დაუწყიათ 1906 წლის 1 აპრილიდან. ავლაბრის სტამბაში თითოეული მიმსვლელი ოხრანკის აგენტების დღიურში ზედმეტი სახელებით არის აღნიშნული. მაგალითად, მ. ბოჭორიძეს უწოდებენ «ოზორნოის» («ონავარს»), ბაბე ბოჭორიძეს—«მატს» («დედას»), ნინო ალაჯალოვას—«იულას» («ბზრიალას») და სხვ.. ოხრანკის აგენტს შეუნიშნავს ავლაბრის სტამბის ეზოდან გამოსული ურიკა, რომლითაც უცნობ პირებს კახეთის ქუჩაზე № 48-ში ტომრებით რაღაც მოუტანიათ. განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მიხო ბოჭორიძეს, რომლის შესახებაც აგენტურული ცნობები ჰქონდათ როგორც არალეგალური სტამბის ორგანიზატორზე.

13 აპრილს მიხო ბოჭორიძე აშკარად ამჩნევს მზვერავებს, რომლებიც სახლს თვალყურს ადევნებდნენ. ამ გარემოებამ მისთვის ნათელი გახადა მოახლოებული საფრთხე. «მიხომ... მყისვე ყველანი ფეხზე დაგვაყენა, — მოგვითხრობს ნინო ალაჯალოვა, --- ჩვენ ავწონ-დავწონეთ შექმნილი მდგომარეობა და შევუდექით შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენას. ბოლოს, გადავწყვიტეთ, უწინარეს ყოვლისა, ჩაგვეშვა მიწისქვეშეთში ყველაფერი, რაც კი სახლში საეჭვო რამ იყო, რათა, თუ პოლიცია თავს დაგვესხმოდა, არ მიგვეცა მისთვის რაიმე საბუთი და, რაც მთავარია, ჩავარდნისაგან გადაგვერჩინა ამიერკავკასიის პროლეტარიატის სიამაყე — სტამბა» [2].

გადაწყდა სახლიდან სასწრაფოდ გადასვლა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. 14 აპრილს მდგმურები ავლაბრის სტამბის ბინიდან გადავიდნენ, სახლის ფანჯარაზე კი განგებ ასეთი წარწერა დატოვეს: «ეს სახლი ქირავდება».

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

[2] იქვე.

მიხო ბოჭორიძე, რაკი ოხრანკის აგენტებისაგან ყველაზე უფრო შემჩნეულ პირად ითვლებოდა, სასწრაფოდ იცვლის ტანსაცმელს და ემზადება, რომ თბილისიდან გავიდეს.

ოხრანკის თბილისის განყოფილების უფროსი, რომელმაც ჯერ კიდევ 1906 წლის აპრილიდან დააწესა თვალყურის დევნება ავლაბრის სტამბის შენობაში მიმსვლელ-მომსვლელებზე, 14 აპრილს კავკასიის პოლიციის გამგეს უგზავნის საიდუმლო მოხსენებას ავლაბრის სტამბის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ და სწერს: «18 აპრილის (1 მაისის) მოახლოებასთან დაკავშირებით განზრახულია ლიკვიდირებულ იქნას სტამბა ამა წლის აპრილის 15-ს ღამით» [1].

1906 წლის 15 აპრილს, დილით ადრე, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის განკარგულებით, სახლს, რომელშიც სტამბა იყო მოთავსებული, ალყა შემოარტყეს ჟანდარმებმა, პოლიციელებმა და მსროლელთა ნაწილებმა. დაიწყო ჩხრეკა. იმ ფარდულის ჩხრეკის დროს, სადაც ჭა იყო მოთავსებული, მიწაში ჩაფლული რამდენიმე ბომბი იპოვნეს. შემდეგ ჭას დაუწყეს დათვალიერება. ერთ-ერთმა მოხელემ შესამოწმებლად ჭაში ცეცხლმოკიდებული ქაღალდი ჩაუშვა. ჰაერის წნევამ ქაღალდი გვირაბისაკენ მიიზიდა. ამ გარემოებამ ეჭვი დაბადა და ჭაში ჩაუშვეს მეხანძრე, რომელმაც ჭის კედელში გვირაბი ნახა. ცხადი შეიქნა, რომ სიღრმეში რაღაც საიდუმლო ბინა არსებობდა. მეფის მოხელეებმა ვერ გაბედეს გვირაბში შესვლა. მათ შეეშინდათ, რომ იქ ჩასაფრებულნი დაუხვდებოდნენ და სროლას აუტეხდნენ. ამიტომ სარდაფის მოძებნის სხვა გზა გამონახეს. ჭების ადგილმდებარეობის მიხედვით დარწმუნდნენ, რომ საიდუმლო სარდაფი სახლის ქვეშ იქნებოდა და გადაწყვიტეს მისი ძებნა ნახევარსარდაფიდან (სამზარეულოდან) ეწარმოებინათ. ამის შემდეგ აყარეს ნახევარსარდაფის იატაკი

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.

და მიწისქვეშ ღრმად მოთავსებულ სარდაფში მიადგნენ არალეგალურ სტამბას. სტამბის ჩხრეკა რამოდენიმე საათს გაგრძელდა.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი და კავკასიის პოლიციის გამგე, ამ დიდი აღმოჩენით თავბრუდასხმულნი, პეტერბურგში შინაგან საქმეთა მინისტრსა და პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს 15 აპრილიდან სისტემატურად უგზავნიდნენ დეპეშებსა და მოხსენებებს, რითაც ატყობინებდნენ თბილისში დიდი სტამბის აღმოჩენას, ჩხრეკის შედეგებს და სტამბის განადგურების ამბავს.

მეფის სატრაპი ვორონცოვ-დაშკოვი მინისტრთა კაბინეტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ავლაბრის არალეგალური სტამბის საიდუმლო მოწყობილობა ჩვეულებრივი საშუალებით მისი აღმოჩენის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამიტომ სტამბა რამდენიმე წლის მანძილზე ახერხებდა მუშაობას და მისი ადგილსამყოფელის დადგენის ყოველი ცდა ამაო იყო. ბოლოს იგი დასძენს, რომ სტამბის აღმოჩენას, ხელში ჩაგდებული მასალის სიდიდისა და იმ არაჩვეულებრივი კონსპირაციულობის გამო, რომლის მსგავსი მაგალითიც წარსულში ჩვენ არასოდეს არ გვქონია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებაო.

მეფის მთავრობა ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა; 1906 წლის 18 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვიტეს წარუდგინა სპეციალური მოხსენება, რომელშიც აღწერილია სტამბის მოწყობილობა და იქ აღმოჩენილი «ნივთიერი საბუთები» [1].

ავლაბრის სტამბის აღმოჩენას მთელ თბილისში მოჰყვა გაძლიერებული ჩხრეკა. გამოცხადდა სამხედრო წესები. 15 აპრილს ჟანდარმერია თავს დაესხა ლეგალური გაზეთის — რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის ორგანოს — «ელვის» რედაქციას, სადაც დააპატიმრეს 24 კაცი. მათ შო-

---

[1] ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი. ფონდი ს. 14/1328. აღწერა № 2. საქმე № 14, ფურც. 42 — 43.

რის იყვნენ მიხო ბოჭორიძე (ნიკოლოზ ოთაროვის სახელით), ფ. მახარაძე და სხვ.

სტამბის აღმოჩენის დროს (15 აპრილს) დააპატიმრეს დ. როსტომაშვილი. 16 აპრილს თავის ბინაში დააპატიმრეს ნ. ალაჯალოვა. 17 აპრილს ქუჩაში შეიპყრეს მ. ცხაკაია. ბაბე ბოჭორიძე დაპატიმრებას გადაურჩა, რადგან იგი წინასწარ იყო გაფრთხილებული მიხო ბოჭორიძის მიერ: მან იშოვა არალეგალური პასპორტი, ჩაიცვა მონოზნის ტანსაცმელი და თბილისიდან გაემგზავრა.

ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენისა და დარბევის მომენტში ი. ბ. სტალინი და ს. გ. შაუმიანი სტოკჰოლმში იყვნენ და რსდმპ IV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ.

ავლაბრის არალეგალური სტამბის ჩხრეკის დროს ჟანდარმერიამ ხელში ჩაიგდო დიდძალი არალეგალური ლიტერატურა. აქ იყო არა მარტო ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები და ფურცლები, არამედ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი გამოცემებიც. აღმოჩენილ იქნა ლენინის ბროშურები: «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», — 17 ეგზ., «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა», — 68 ეგზ., «სოფლის ღარიბებს», — 38 ეგზ., «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ», — 510 ეგზ.; სტალინის ბროშურები: «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე», — 557 ეგზ., «ორი შეჯახება», — 339 ეგზ.; სტალინის ხელნაწერები — სტატიების, პროკლამაციების დედნები, მის მიერ გასწორებული პროკლამაციებისა და სტატიების პირველი ანაწყობები. აქვე აღმოაჩინეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არქივის ნაწილი, გაშიფრული და გაუშიფრავი მიწერ-მოწერა ლენინთან და საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან; პარტიის პროგრამა, წესდება, არალეგალური გაზეთების — «ვპერიოდის», «პროლეტარის», «რაბოჩის», «პროლეტარიატის ბრძოლისა» და ««პროლეტარიატის ბრძოლის» ფურცლის» ეგზემპლარები. სტამბის

«ნივთიერ საბუთებს» შორის იყო აგრეთვე აუგსბურგის სისტემის საბეჭდი მანქანა, 80 ფუთი შრიფტი, 20 ფუთი ქაღალდი, 30 ფუთამდე ბროშურა, 50 ფუთამდე პროკლამაცია და ფურცელი (სულ 678 ეგზ.), მზა ანაწყობი, 19 სასტამბო უჯრა, საგრავიურო დაზგა და 23 ლითონის ბეჭედი, შტემპელები (რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა, კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტისა, მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებისა)[1], რამდენიმე ცალი საპასპორტო ბლანკი (როგორც სუფთა, ისე შევსებული), ფეთქებად ნივთიერებათა ლაბორატორია, დინამიტი დიდი ჭურვის ბიკფორდის ზონრით და სხვა [2].

როდესაც ვეცნობით ავლაბრის არალეგალური სტამბის ჩავარდნის დროს ჟანდარმერიის მიერ შედგენილ «ნივთიერი საბუთების სიას» და სხვა საარქივო დოკუმენტებს, სავსებით ნათელი ხდება, რომ ამ სტამბის სახით წარმოდგენილია არა მარტო რევოლუციური ლიტერატურის მძლავრი ბაზა, არამედ, ამავე დროს, რევოლუციონერთა არსენალიც. მას შემდეგ, რაც სტამბაში მუშაობა შეწყდა, სტამბის საცხოვრებელი ბინა გამოყენებულ იქნა საბარიკადო ბრძოლებისათვის მოსამზადებლად, რისთვისაც იქ დიდძალი ფეთქებადი ნივთიერება იყო თავმოყრილი.

გაჩხრეკის შემდეგ ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობა მეფის ხელისუფლებამ ააფეთქა, სახლი დასწვა, ხოლო «ნივთიერი საბუთები» ავლაბრის არალეგალური სტამბის საქმის ძიებისათვის გაიგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში.

ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენამ მეფის მთავრობის ოფიციალურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პრესაში დიდი განგაში გამოიწვია. გაზეთებში — («კავკაზ»,

---

1 როგორიც იყო თბილისის გუბერნატორის, ასტრახანის საქალაქო პოლიციის გამგეობის, მოსკოვის 1-ლი უბნის ბოქაულის, გორის მაზრის ბოქაულისა და სხვა ბეჭდები, რაც საპასპორტო ბიუროს არალეგალური პასპორტებისათვის სჭირდებოდა.

1 მ ა რ ქ ს-ე ნ გ ე ლ ს-ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი.



რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა—მუზეუმი.

«ზაკავკაზიე», «გოლოს კავკაზა», «ნობათი» და სხვ.) დაიბეჭდა ცნობები ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ. გაზეთ «ზაკავკაზიეს» 1907 წლის მთელ რიგ ნომრებში გამოქვეყნდა ავლაბრის სტამბის საქმის გამო შემდგარი სასამართლო პროცესის ანგარიში სათაურით: «ავლაბრის ჯოჯოხეთის მანქანა». თბილისის სასამართლო პალატამ ავლაბრის სტამბის შესახებ ცრავალი საქმე შეადგინა.

ავლაბრის სტამბის გამო პასუხისგებაში მიცემულ პირთა საქმის განხილვა დაიწყო 1906 წლის მაისში. პასუხისგებაში მიცემულ ზოგიერთ პირს გამოძიებისას სასამართლომ ვერ უპოვა მამხილებელი საბუთები და ისინი გაათავისუფლეს. მაგალითად, 1906 წლის 26 მაისს გაათავისუფლეს 16 კაცი, მათ შორის ფ. მახარაძე, 1906 წლის 31 მაისს გაათავისუფლეს მ. ცხაკაია და ნ. ალაჯალოვა. 1906 წლის 27 ოქტომბერს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დახმარებით მიხო ბოჭორიძე ციხიდან გაიქცა. ბოლოს, სასამართლო პალატას განსახილველად დარჩა მხოლოდ 5 კაცის საქმე. მათგან ავლაბრის სტამბის საქმე ეხებოდა დ. როსტომაშვილს, დანარჩენი 4 კაცი კი მოწმეთა ყალბი ჩვენებით იყო მიცემული პასუხისგებაში. მიუხედავად იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნისა — დაეჩქარებიათ „ავლაბრის სტამბის საქმის“ გარჩევა, სასამართლო პროცესი წლობით ჭიანურდებოდა, რადგან ორგანიზაციის მთავარ კვალს ვერ მიაგნეს. 1908 წლის 2 იანვარს სასამართლომ დ. როსტომაშვილს და სხვებს ციმბირში გადასახლება მიუსაჯა. მაგრამ «ავლაბრის სტამბის საქმე» ამით მაინც არ დამთავრებულა. ჟანდარმერია კვლავ თავგამოდებით დაეძებდა სტამბის მთავარ ორგანიზატორებს, თუმცა მათი ძებნა უშედეგო იყო. ეს გარემოება ნათლად მოწმობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროფესიონალ-რევოლუციონერთა ლენინური კადრების განსაკუთრებულ კონსპირაციულ მუშაობას.

მეფის მთავრობას ეგონა, რომ ავლაბრის არალეგალური სტამბის განადგურების შემდეგ ამიერკავკასიაში რევოლუციური ლიტერატურის გამოცემა შეწყდებოდა, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური

ორგანიზაციები ფართოდ ანვითარებდნენ ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვას როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის შენელების პერიოდში, ისე რეაქციის სუსხიან წლებში. ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური გაზეთები, ბროშურები, პროკლამაციები ბრძოლის ცეცხლს ანთებდნენ რევოლუციურ მასებში და რაზმავდნენ მათ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ახალი, გადამწყვეტი შეტევისათვის.

* * *

ამჟამად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა რესტავრირებულია, როგორც ისტორიული ძეგლი.

1937 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი. ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ამ ღირსშესანიშნავმა ისტორიულმა ძეგლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. 17 წლის განმავლობაში იგი დაათვალიერა მილიონნახევარზე მეტმა კაცმა — საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, სახალხოდემოკრატიული ქვეყნებიდან და კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან ჩამოსულმა დელეგაციებმა.

ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი ჩვენი საბელოვანი რევოლუციური წარსულის ცოცხალი ძეგლია. მისი დათვალიერება მეხსიერებაში აღადგენს დიადი კომუნისტური პარტიის გმირული წარსულის ბრწყინვალე ფურცლებს და აღაფრთოვანებს მშრომელებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

———

რედაქტორი ნ. კუპრავა
ტექრედაქტორი ა. ღვინიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-54 წ. ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$. ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2. უე 05190. შეკვ. № 551. ტირაჟი 10.000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.